

1941




ՅՈՒՆԵՅԿՈՒ



ԾԱԹՈՒՄՄԵՐՈՒԹՅՈՒՆ
"ՅՈՒՆԵՅՆԻՍՏՈՒ"



Թ Վ Ո Ն Ո
1 9 4 1 № 5



1818 წლის 5 მაისს ქალაქ ტრირში (გერმანია) დაიბადა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელი, საერთაშორისო პროლეტარიატის გენიალური ბელადი—კარლ მარქსი.

გერმანიის დამთავრების შემდეგ მარქსი შევიდა უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. განსაკუთრებული გატაცებით სწავლობდა ის ისტორიულსა და ფილოსოფიურ მეცნიერებას. 1841 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და მიიღო ფილოსოფიური მეცნიერების დოქტორის ხარისხი. რევოლუციური მოღვაწეობა მარქსმა ძალიან ადრე დაიწყო. უკ-

ვე 1842 წელს ის რედაქტორობდა შედარებით იმ დროსთან მოწინავე „რაინის გაზეთს“, ხოლო 1843 წელს „რაინის გაზეთის“ დახურვის შემდეგ მარქსი იძულებული იყო წასულიყო პარიზში. აქ ის დაუახლოვდა ფრიდრიხ ენგელსს, რომელიც შემდეგ მთელი ცხოვრების გზაზე მისი განუყრელი მეგობარი იყო.

1845 წელს მარქსი, როგორც საშიში რევოლუციონერი, პრუსიის მთავრობის დაჟინებით მოთხოვნით პარიზიდან გაასახლეს. ის ბელგიაში გადასახლდა, სადაც 1847 წელს მარქსის ხელმძღვანელობით ჩაისახა „კომუნისტური კავშირის“ ფარული ორგანიზაცია. 1847 წლის ბოლოსა და 1848 წლის დასაწყისს მარქსმა ენგელსთან ერთად „კომუნისტური კავშირის“ მეორე ყრილობის დავალებით დაწერა ცნობილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გამოქვეყნების შემდეგ ევროპაში ძალე გაღვივდა რევოლუციები.

რევოლუციური მოღვაწეობის გარდა მარქსი აქტიურად აწარმოებდა მეცნიერულ მუშაობას. როგორც ახლა უკვე ყველასათვის ცნობილია, მარქსმა დაწერა უდიდესი მეცნიერული ნაშრომი „კაპიტალი“, რომლის პირველი ტომი გამოვიდა 1867 წელს, ხოლო მეორე და მესამე ტომი მოამზადა და გამოსცა ენგელსმა მარქსის სიკვდილის შემდეგ.

კარლ მარქსი, მსოფლიო ისტორიის ეს ბუმბერაზი აღამიანი, გარდაიცვალა 1883 წლის 14 მარტს.

იროდიონ ვედოშვილი (ზოსიტაშვილი) ერთ-ერთი უაღრესად თვალსაჩინო და ნაყოფიერი მწერალთაგანია.


იგი დაიბადა 1873 წელს სოფელ ბოდბისხევში (ქიზიყში). სწავლობდა ჯერ სინაღის საქალაქო სასწავლებელში, შემდეგ თელავის სასულიერო სასწავლებელში მერე თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც მესამე კლასიდან გარიცხეს რევოლუციური ლიტერატურის კითხვისათვის.



ლექსების წერა მოწაფეობის დროიდანვე დაიწყო. მისი პირველი ლექსი 1893 წელს გამოქვეყნდა.

1905 წლის რევოლუციას იგი აღფრთოვანებით შეხვდა და მხურვალე მონაწილეობა მიიღო. ამ პერიოდში წერდა რევოლუციურ ლექსებს, ბრძოლისკენ მოუწოდებდა და იმედით აღფრთოვანებდა მშრომელ ხალხს.

იროდიონ ვედოშვილი გარდაიცვალა 1916 წლის 14 მაისს, ფილტვების ქვებით, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ.



პირველი მაისი

3567

ქუჩებსა და მოედნებზე მიდის როგორც ქარბუქი
ათასობით ქალიშვილი, მოხუცი და ჯაბუქი.
დემონსტრანტთა კოლონები სიხარულის ლივლივით
სანაპირო ქუჩას ავსებს დილის ყვილ—ხივილით.
ეს მაისიც მთელ ქვეყანას ესალმება რტომრავალს;
—გაუმარჯოს პირველ მაისს, მთელი ქვეყნის მომავალს!—
და პასუხად გამოისმის ათასი ხმით ძახება,
სახლებს გრგვინვა დაემჩნევა, ჰაერს აცახცახება.
წინ მიიწევეს პიონერი როგორც კაცი პირველი,
შემდეგ მიჯრით მიწყობილი მიდის კომკავშირელი.
ქუჩა სავსე, სიხარულით და პასუხის მიგებით
დაამთავრებს სვლას წითელი ჯარის მებრძოლ რიგებით,
ურიცხვია ლოზუნგები, მოედნებს რომ მოსდევენ,
და ყოველმხრივ ახალგაზრდებს მედგრად მოუწოდებენ,
რომ იბრძოლონ, როგორც ითხოვს მძლე სახელი გმირისა,
განამტკიცონ ძლიერება საბჭოთა კავშირისა.
გაზაფხული მთელ ქვეყანას ესალმება რტომრავალს:
—გაუმარჯოს პირველ მაისს, მთელი ქვეყნის მომავალს!

გ. კოპალიანი





1901 წელი

(მოგონება)

1901 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში უკვე არსებობდა მოწაფეთა მარქსისტული წრე, დაარსებული ამხანაგ სტალინის მიერ. მაშინ წრეში დაახლოებით 15 კაცამდე ვიყავით. წრე შედგებოდა 1899 წელს გორის, ქუთაისისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლიდან თბილისის სემინარიაში გადმოსულ მოწაფეთაგან. წრეში იდეალური ერთსულოვნება დამჭიდრო კავშირი გვქონდა. სრულიად დარწმუნებულები ვიყავით, რომ ერთმანეთს არავითარ შემთხვევაში არ ვუღალატებდით, ერთმანეთისათვის სიხარულით თავს დავდებდით და რაც უნდა მომხდარიყო. ცოცხალი თავით წრის საიდუმლოს არ გავცემდით. ეს თავიდანვე შთაგვაგონა ჩვენმა ხელმძღვანელმა—დიდმა სტალინმა.

წრეში გვქონდა საკუთარი სახსრებით შეძენილი, ცენზურისაგან ნებადართული, ხოლო სემინარიის ადმინისტრაციისაგან ჩვენთვის აკრძალული წიგნების პატარა ბიბლიოთეკა. ამასთანავე ამხანაგ სტალინის დახმარებით ვიღებდით საიდუმლო ლიტერატურას და უმთავრესად ვეტანებოდით ამ არალეგალურ, მთავრობის საწინააღმდეგო წიგნების კითხვას. სასწავლებლის გარეთ სხვადასხვა ადგილებში ვაწყობდით კრებებს. კრებებზე ვარჩევდით წაკითხულ წიგნებს. ვისმენდით რეფერატებს, ვებმებოდით მუშათა წრეებში სამუშაოდ, ვაშუქებდით სხვადასხვა ისტორიულ მომენტს, უფრო ხშირად ვეხებოდით თანამედროვე მუშათა მოძრაობას ჩვენში და საზღვარგარეთ, ვეცნობოდით სხვაგან მომხდარ რევოლუციებს და მის უახლოვეს ეტაპებს ჩვენში. წრემ კარგად შეისწავლა პირველმაისობის დაწესების ისტორია, მისი მნიშვნელობა მუშათა კლასისათვის და ა. შ. ჩვენ, რასაკვირველია ვიცოდით, რომ 1901 წელს პირველმაისობას იუქმებდა თბილისის პროლეტარიატიც, ხოლო იუქმებდა არა ისე, როგორც წარსულში—საიდუმლოდ, მალულად, მოფარებით, არამედ ღიად, მტრების თვალწინ და მათ გულის გასახეთქად დროშით ხელში და გამომწვევი შეძახილებით. ვიცოდით, რომ ამ ზეიმში ჩვენც უნდა მიგვეღო მონაწილეობა და ვემზადებოდით...

ძნელია იმის გადმოცემა, რასაც განვიცდიდი პირველმაისობის წინაღმეს. დემონსტრაციის მოსალოდნელი სურათები მიდგებოდა თვალწინ... გათენდა. კვირადღე იყო, 1901 წლის აპრილის 22 რიცხვი. სწავლა არა გვქონდა, მხოლოდ წირვა უნდა მოგვესმინა სემინარიის ორსართულიან ეკლესიაში. პირის დაბანის შემდეგვე გადაფრთხილეთ ერთმანეთი, რომ წირვა გამოვიდოდა თუ არა, აუცილებლად ქუდები მზადა გვქონოდა და მაშინვე პანსიონიდან გავსულიყავით. ასეც მოვიქეციით. ჩვენ რომ წავედით, ცოტა ხნის შემდეგ სემინარიის ადმინისტრაციას პანსიონიდან ჩვეულებრივი გასვლა ამ დღეს აღეკვეთა, პანსიონი დაეკეტა და ვინც კი იმ დროს იქ მოხვედროდა, გარეთ აღარ გამოეშვა, რათა პირველმაისობის დემონსტრაციაში არ მიეღოთ მონაწილეობა. ადმინისტრაციამ, უეჭველია, იცოდა საპირველმაისო დემონსტრაციის ამბავი, რადგანაც წინააღმდეგობის საღამოს ჩაის დროს ინსპექტორის თანაშემწეს, ცნობილ შავრაზმელ რუჟენეცკს, პროკლამაცია ჩაუდეთ პალატოს ჯიბეში, თვითონ ინსპექტორს

კი ბინაში შეეფუდეთ პროკლამაცია. გარდა ამისა, წინაღუდსვე პროკლამაციები ჩუმად შეეფუწყეთ მოწაფეებს მერხებში.

22 აპრილს დემონსტრაცია ტარდებოდა ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით. ჩვენ წინასწარ ნათქვამი გვექონდა სემინარიიდან პუშკინის ქუჩით წავსულიყავით ბაზრისაკენ. პუშკინის ქუჩა მთლად პოლიციითა და ყაზახებით სავსე აღმოჩნდა და არავის უშვებდნენ. იქიდან ძნელი იყო ბაზარში მოვხვედროდით. ისევ ლორის - მელიქოვის (ამჟამად კეცხოველის) ქუჩით ვარჩიეთ წასვლა ბაზრისაკენ. იქ აუარებელი ხალხი ტრიალებდა. მყიდველ-გამყიდველთა უმრავლესობამ არ იცოდა რა უნდა მომხდარიყო და დამშვიდებული განაგრძობდნენ თავის საქმიანობას. დაკვირვებული თვალი კი ადვილად შენიშნავდა, რომ ბევრი მყიდველი ხან ერთ მოვაჭრესთან მიდიოდა, ხან მეორესთან, ყასილად დიდხანს ევაჭრებოდა და კი არაფერს ყიდულობდა. ამასთანავე ყურადღებას იქცევდნენ აქა-იქ ხალხში მდგომი შეიარაღებული პოლიციელები.

დროშის აწვევის რამდენიმე წუთის წინ ალექსანდრეს ბალის კართან, რომელიც ქაშუეთის ქუჩისაკენ გამოდიოდა, რამდენიმე ამხანაგი მოვხვდით ერთად. ბალი ღია იყო, შიგ ხალხი დასერილობდა. ბალიდან გამოვიდა რუსი გოროდოვოი და შეხეჩებულ ვილაცა ხელოსანს წინადადება მისცა შინ წასულიყო. ამაზე მან უკმეხად უპასუხა: შინ რად წავალ, ხედავ, მთელი ხალხი აქ არის, მე დედაბერი ვარ თუ რა, რომ სახლში ვიჯდო? უცებ ერთ ალაგას ატყდა არაჩვეულებრივი ხმაურობა, ჩოჩქოლი და შეძახილები და იქიდან აგორებული ტალღა თვალის დახამხამებაზე თავზე გადაეგლო უამრავ ხალხს, დაურბინა ახლომახლო ქუჩებს...

დაიწყო ბრძოლა. ისმოდა პოლიციელების სასტვენების ისტერიული სტვენა, ყვირილი, კივილი, წივილი, გინება, მუქარა. ამუშავდა მათრახები.

პოლიცია და ჟანდარმერია შეტევაზე გადავიდა. გამოჩნდნენ ყაზახთა რაზმებიც... მე დროშა არ დამინახავს, არც ვიცოდი, რა ხდებოდა მის გარშემო, ყმაწვილ თვალს კი უნდოდა ყველა ამის ხილვა და უშუალო განცდა, გული საგულეში აღარ დგებოდა, მას ანდამატივით იზიდავდა წმინდა დროშა. ანგარიშმიუცემლად ვავიქეცი ბალის იმ ალაგისკენ, სადაც, ჩემის ვარაუდით, დროშა უნდა ყოფილიყო აღმართული. მივვარდი თუჯის ზღუდეს, ავდგი ფეხი მასზე. ასე ბევრი სხვაც მოიქცა. მე გაფაციცებით დავიწყე ცქერა, ვეძებდი დროშას და მედროშეს. დავინახე ზღუდის იქით, ქუჩაში, პოლიციელები და ყაზახები უწყალოდ ურტყამდნენ მათრახს თავზარდაცემულ ხალხს. თუჯის ღობეს ქუჩის მხრიდან მოაწყდა დამფრთხალი გამოქცეული ხალხი და ჩემკენ, ე.ი. ქუჩიდან ბალისაკენ, გადმოხტა ერთი, გადმოხტა მეორე, მესამე, მეოთხე... ხოლო ხალხის შემდეგ პოლიცია და ყაზახები გადმოეშვნენ ბალისაკენ. ბალის მხრიდანაც ზღუდისკენ მორბოდნენ პოლიციელები და ვინც კი ხვდებოდათ გზაში, სცემდნენ. ხალხი უგზოუკვლოდ გარბოდა. მეც ხალხს გაყევი....

გაქცეულ ხალხს მისდევდა პოლიცია, სცემდნენ, აპატიმრებდნენ...

ეს იყო თბილისის პროლეტარიატის პირველი გაბედული ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

ამ ამბის შემდეგ, ამხანაგ სტალინის მითითებით თბილისის თითქმის ყველა სასწავლებელში ჩამოვაყალიბეთ მარქსისტული წრეები. სასწავლებლების წრეების წარმომადგენლებიდან ამხანაგ სტალინისავე ხელმძღვანელობით შედგა უფრო სანდო და აქტიური ამხანაგებისაგან თბილისის მოწაფეთა მარქსისტული წრეების კომიტეტი. ეს უკანასკნელი დაკავშირებული იყო პარტიულ კომიტეტთან და თავის მოქმედებას უთანხმებდა ამხანაგ სტალინს.

საძიარსი

სიომ ხეებს დაურბინა,
ზეცამ ლურჯად გაიცინა;
ვარდისფერი ღრუბლის ქულა
მთის გულ-მკერდზე განაბულა;
ველ-მინდორის ფერად ქარგას
მზე ოქროსფერ სხივით ქარგავს,
მზე იცინის, დარი დარობს,
მაისია სანეტარო!

ცისფერ კალთებს აფრიალებს,
ყვავილებად ახელს თვალებს,
სოფელს მისცა ჯანი, ძალა,
ხნული შავად გადაშალა;
ტყე, ჩრდილად რომ დაბანდულა,
მთლად აქცია ტაშ—ფანდურად
და ამ მწვანე ტაშიანად
ამღერა, აშრილა!

ქალაქს თბილად დაურბინა
და დროშები აბიბინა,
ქუჩა მორთო ალისფერად,
ყველა ლალად ამღერა,
არვინ დარჩა გარეთ, შინა —
ყველას ვარდი დაუშინა,
ახლა გულში ზის და დარობს
ეს მაისი სანეტარო!


ქალა ბოგონიძე

საზვიმო ტაზვითი

რედაქტორი არის კოლა,
უშვებს კედლის გაზეთს,
ასახელოს უნდა სკოლა,
განუზრახავს ასე.
ვანო მხატვრად მოიწვია.
წერს მეთაურ წერილს:
—დავასრულოთ ფრიადებით
ჩვენ სასწავლო წელი!
პირველ მაისს სიხარულით
შეხვდეს მთელი სკოლა,
გაუმარჯოს ჩვენს დიდ სტალინს!—
ამთავრებდა კოლა.
და ვანომაც დაამთავრა
ხატვა, შესცქერს გაზეთს,
ფიქრობს: „სურათს ბელადისას
ვინ დახატავს ასეთს?!“

იქ ბენია მოსწავლეებს
ზრუნვით უაღერსებს
და ბავშვები ჩონგურებზე
დამღერიან ლექსებს...
ხალხთა სარდალს სიყვარულით
ვარდებს აწვდის ნელი
და ივსება სიხარულით
ნორჩი ლენინელი.
სამაისო ყვავილებით
მორთულია სკოლა,
ქების სიგელს აფრიალებს
პიონერი კოლა.
მზე ამოდის მომღიმარე,
ეფინება ვარდებს,
და დაჰყურებს მშობელ მხარეს
ზეცის სილაყვარდე...

თბილისის პიონერთა სასახლე



ამხ. ლ. პ. ბერიას ქანდაკება სასახლეში.

თბილისის პიონერებმა და მოსწავლეებმა მშენებელი საჩუქარი მიიღეს; ორ მათგან ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში გაიხსნა პიონერთა სასახლე.


მისი მოწყობა სამი წლის წინ დაიწყო. მაშინ ამხანაგ ლავრენტი ბერიას ინიციატივით მთავრობის ყოფილი სასახლე გადაეცა პიონერებსა და მოსწავლეებს.

დღემდე აქ ბევრი რამ გაკეთდა. სულ შეიკვალა შენობა შიგნიდან და გარედანაც. მოეწყო მრავალი ლაბორატორია, კაბინეტი, განყოფილება. სასახლეს აქვს მშენებელი საცეკვაო დარბაზი, მშენებელი თეატრი... ლამაზი და მიმზიდველია სასახლის ეზო. აქ ნახავთ საუცხოო ბაღს, მდიდარს წიწვოვანი მცენარეებით, ნახავთ ნაირნაირ შადრევნებს, დანადგარებს...

შიგნით განყოფილებებიც კარგად არის მოწყობილი. პოლიტიკურ-მასობრივი აღზრდის განყოფილებაში ყველაზე უწინ თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ლენინ-სტალინის სექტორი.

აგრეთვე ამ განყოფილებაშია მოთავსებული პიონერაქტივის ოთახი, ზღაპრის, ჭადრაკის, თამაშობებისა და სხვადასხვა გასართობის ოთახები.


ბავშვებს ძალიან უყვართ სამხედრო-ფიზკულტურული საქმე. სასახლეში მათთვის მშენებლად მოწყობილი სამხედრო-ფიზკულტურული განყოფილებაა. მას აქვს სპორტული დარბაზი, სამხედრო-ფიზკულტურული წრეების სამეცადინო ოთახები, ტირი და სხვ. საერთოდ ბავშვებისათვის აქ ყველაფერია მოწყობილი, ყველაფერი ისეთი, რაც მათ გაუმდიდრებს ცოდნას, გაართობს და ასიამოვნებს.




სასახლის ბაღის ერთ-ერთი კუთხე.




პიონერები თავიანთ სასახლეში.



თბილისის პიონერთა სასახლის ხედი.



შადრევანი სასახლის ბაღში.



სასახლის ერთ-ერთი კუთხე; ხედი ბაღიდან.

შინლის ჯობი



სიმონ ნაკაპა

განთიადისას გაზაფხულის სითბო მასპინძლივით დატრიალდა ქოხში. ახლადგამოღვიძებულმა იაგორამ დახედა შვილს და დაბალი ხმით ჩასძახა ყურში:

— ხუტუნია, ბიჭო, გაიღვიძე, დაგვაგვიანდება!

ხუტუნია, რომელსაც წაბლისფერი თმა თვალებზე ჩამოშლოდა, წამოვარდა: მიხვდა, თუ რატომ უფრთხობდნენ ტკბილ ძილს. უსიტყვოდ ჩაიცვა შარვალ-ხალათი, ქოხის კარი ფართოდ გააღო და დილის ნიავე რომ ჩაისუნთქა ღრმად, უცებ შედგა.

— შინდის ხე, ჩემი შინდის ხე მოუჭრია ვილაცას!

იაგორამ გახედა ეზოს. ათი წლის განმავლობაში შვილივით ზრდიდა და ეფერებოდა შინდის ხეს, მანაც შეიშნო პატივი და ეზო დაამშვენა. ახლა ვილაცას მოუჭრია, მაგრამ იაგორა რატომღაც არ წუხს, არც უკვირს, ელიმება კიდევ.

— მერე რა, შვილო, ალბათ, საჭირო იყო და მოჭრეს.

— ძმასავით ვუვლიდი, ვის რად უნდოდა ჩემი ლამაზი შინდის ხე?!

— შვილო, ხეს რომ მოჭრიან, ის მალე ამოიყრის, მალე იფეთქებს, მაგრამ კაცს რომ თავს მოჰკვეთენ, მას რაღა ეშველება? რამდენი კაი ყაძახი ამოაგდეს ფუძიანად! ეგება ჩვენი შინდის ხე ადამიანის სიცოცხლედ ეღიროს დღეს.

ხუტუნია ვერ მიუხვდა მამას.

— მამილო, მამილო!

— რა ამბავია, შვილო?

— აი, შეხედე, შეხედე!

მთავარ ქუჩაზე დრაგუნთა ასეული და ცხენოსანთა ესკადრონი იდგა. იაგორას არც მათი დანახვა გაკვირვებია.

— ეგ, შვილო, არაფერია, ღამით მოდუნებულ მუხლებს იმართავენ, ალბათ, თორემ დაიხუთებიან!—ნაღველნარევი ღიმილით თქვა იაგორამ და შვილს ისე ჩააცქერდა თვალებში, თითქოს პირველად ენახოს ამ დილით.

იაგორას წინა საღამოს უთხრეს დეპოში: კავკასიის მთავარმართებელი გოლიცინი ელისავეტოლში გაემგზავრა გუშინ ეკლესიის კურთხევაში მონაწილეობის მისაღებად და ბრძანება დატოვა, ქალაქში სამხედრო წესები გამოაცხადეთო. გუბერნატორმა და ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა კახაკები და დრაგუნთა ასეულები თბილისის მთავარ უბნებში გაანაწილეს.

— წავიდეთ, შვილო, — უთხრა იაგორამ თვალებჩაღრმავებულ ხუტუნისა და როდესაც ხუტუნია გავიდა, იაგორა ვალეხულ კარს მოეფარა, მაგიდის უჯრიდან ამოიღო ახლადდახეთილი ნაგანის სისტემის რევოლვერი და უბეში ჩაიღო. თვალებს სინათლე მოემატა, გულს მეტი იმედი მიეცა.

ისე მხნედ, ისე მტკიცედ მიდის იაგორა, თითქოს მას თან მიჰყვებოდნენ ეს ლილისფერი ცა, თბილი მიწა და ეს მშვენიერი მიდამოები, ნაირნაირი ფერებით დახატულნი.

ხუტუნია იცის, როგორი სიფრთხილით უნდა იაროს, ან სად უნდა მივიდეს. გული ჩიტვივით უფრთხილებს, ასე ჰგონია, დღეს რაღაც სულ ახალი სიცოცხლე, სულ ახალი ცხოვრება იბადებო. მისთვის პირველი არ არის მათობაზე წასვლა, მაგრამ დღევანდელი დღე რაღაც სხვანაირი ფიქრებით იმოსებოდა. ორი წლის წინ მამამ ჩუმად წაიყვანა იგი მათობაზე. ხუტუნია პირველად ნახა თავის სვებედზე მოგუგუნე ხალხის შეკრება, პირველად ნახა მან დროშაზე გამოხატული ორი ადა-

მიანის სანდომიანი სახე. ორივეს ტყესავით ხშირი წვერები ჰქონდათ. მათი ჰკვიანური თვალები პირდაპირ უმზერდნენ ხუტუნისას, უხმობდნენ — ახლოს მოდიო, მაგრამ ქარმა დროშა შეაშრიალა და მათი გრძელი წვერები ნიავევით დაიჩხა. გასულ წელს ბიჭი გაცეცხული დარჩა, როცა მლაშე ტბის რაიონში, იმავე ადგილას, სამოცდაათი კაცის მაგიერ ხუთას კაცს მოეყარა თავი. ხუთასმა გულმა ერთად იფეთქა და ერთად იქუხა:

— რატომ გვტანჯავენ ჩვენ?! როდემდის უნდა ვიყოთ ასე?!

ხუთასმა გულმა, როგორც ერთ ადამიანში გაერთიანებულმა ნატვრამ და სურვილმა, ერთად იგრავინა:

— გაუმარჯოს თავისუფლებას!

ყველაფერი კარვად ახსოვს ხუტუნისას. იმედინად მიდის, რათა ორი წლის ვარჯიშობის შემდეგ იაგორასთან ერთად გამოცდა ჩააბაროს ცხოვრებას. მამაც გრძნობს ხუტუნისას სიმტკიცეს და თავისთვის იმეორებს გაზეთ „ბრძოლაში“ ამოკითხულ სტრიქონებს: „თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, თითქო განგებ ბრძოლისათვის იყოთ ამ ქვეყნად მოვლენილი! რა არის თქვენთვის ციხე-საპყრობილე, რომლითაც აგრე ცდილობენ თქვენ შეშინებას!“.

— იაგორას გამარჯობა!

— თედორეს სიცოცხლე! — უცებ გამოერკვა იაგორა ფიქრებიდან.

— სად მიიჩქარი, ყაძახო, ამ ყაზილარით?

— სადაც შენ მიდიხარ! — გალიმებით უპასუხა იაგორამ და გულდაგულ დააკვირდა თედორეს, ხომ არ ვცდებიო, მაგრამ თედორესაც ისეთი ღიმილი და ისეთი გამოხედვა ჰქონდა, როგორიც მას, ცხოვრებასა და ქვეყანაზე მოძღურებულ ადამიანს.

საღდათის ბაზარს აივნიანი სახლები მზერავებივით დაჰყურებდნენ. ასეთი მზურვალე მზე ჯერ არ ყოფილა თბილისში. უხვად მოტანილი სურსათ-სანოვაგე მზის სხივებში ფუჭდებოდა. დიდი ფუსფუსია; ორ-ორი და სამ-სამი კაცი დადის ერთად. თითქოს ერთმანეთს გაურბიანო, შორი-შორს უვლიან და მზისუშვირას კენეტენ. ვაჭრებს უკვირთ, ამდენი ხალხი არასოდეს არ ყოფილა ბაზარშიო, მაგრამ ისიც უკვირთ, რომ არაფერს არ ყიდულობენ.

— რა უბედურ წუთს უცდიან, საღამომდე რომ იწანწალონ, მაზანდას მაინც არ დაგსცემ! — ჩიფჩიფებდა მუცელგამობერილი კაცო, რომელსაც დრაგუნთა პოლკის ჯარისკაცი ცირკის ჯამბაზივით ეჯღანებოდა.

— რა ნავსი დღეა, აგერ თორმეტი საათი შესრულდება და ერთი გროშისათვისაც არ შემივლია ხელი, რამ გამოაშტერა ეს ადამიანები, მზისუშვირას რომ კენეტენ და მუცელ-ატკივებულებივით რომ დაწრიალებენ? — გაიკვირვა მეორე ვაჭარმა.

ხალხში, აქა-იქ, კაზაკები და ჯარისკაცებიც გაჩნდნენ.

უცებ მტრედივით აფრინდა ცაში წითელი ბუმბუც, მალლა, სულ მალლა ავიდა. თითქოს მიწა იძრაო, მთელი ბაზარი ახმაურდა და ამოძრავდა. დახლები გადმოპირქვედნენ. ამდენხანს ტყუილად მოხეტიალე კაცები მოქუჩდნენ, დაირაზმნენ, ვიღაცამ დროშა შემოიხსნა ქამრიდან, დიდს ჯოხზე მიამაგრა და მალლა ააფრიალა. დროშამ ისე გავალა თავისი კალთები, რომ მედროშე სულ დაიმალა შიგ. სიიდანაც ტაბურეტი გაჩნდა, ზედ ვიღაცა ახოვანი ვაჟკაცი შედგა და ხმამაღლა დაიძახა:

— გაუმარჯოს პირველ მაისს, გაუმარჯოს თავისუფლებას!

ხმალამოწვდილი პოლიციელები და კაზაკები ქორივით დააფრინდნენ დროშას, ორატორს სათქმელი ყელში გაეხირა, სისხლმა იჩინა თავი. პირველი სისხლის დანახვაზე სამიათსმა კაცმა ხმლებივით იშოშვლა შინდის ჯოხები. ახლა კი მიხვდა ხუტუნია, თუ რატომ მოუჭრეს მას შინდის ხე. მობრუნდა, მამას ვეტყვი რამესო, მაგრამ იაგორა ძირს დაცემულ მედროშეს მიშველებოდა, დროშას მალლა სწევდა, დრაგუნებს იგერიებდა. ხუტუნია მამისაკენ გაიწია. იაგორა დროშას არ ხრიდა ძირს. ბოქაულმა, რომელსაც ჭარხალივით წითელი სახე ჰქონდა, თოფის კონდახი დაარტყა თავში. მოწითფული ვაჟკაცი მოჭრილ ხესავით დაეცა ძირს. შეშინებულმა ხუტუნია ერთი დაიყვირა: „მამა მომიკლეს! მამა მომიკლეს!“ და მერე, თვითონაც არ ახსოვს როგორ შეახტა ბოქაულს. ჯერ მუნდირი შემოახია და მერე კი ბლუჯა-ბლუჯა დაავლიჯა თმები. გამწარებული და დასისხლიანებული პო-

ქაული ყელში სწვდა ბიჭს, მაგრამ მოულოდნელად რევოლვერი გავარდა და ბოქაული ძირს დაეცა. მძიმედ დაჭრილმა იაგორამ მეორედ გამოჰკრა თითი ჩახმახს, და თედორესთან შეჭიდებული კაზაკი გაიშლართა ქვაფენილზე. თედორემ ძირს დაცემული დროშა კვლავ აღმართა.



თედორემ ძირს დაცემული დროშა კვლავ აღმართა.

დაფეთებული ხალხი ხან ერთ მხარეს აწყდებოდა და ხან მეორეს. ხუტუნია მერთხელ კვლავ გადახედა სისხლის ღვარში ამოვლებულ იაგორას. გული ეტკინა ბიჭს, გული! უნდოდა წახმარებოდა, უნდოდა რაიმე საიმედო ეთქვა მისთვის, მაგრამ ყელიდან ხმის მაგიერ სისხლი წამოვიდა და მთელი ტანი წითლად შეუღება.

იაგორას თელავდნენ და თელავდნენ ჯარისკაცები. ხუტუნია სადღაც წაათრის. მას უკანასკნელად ჩაესმა ყურში იაგორას ხმა: „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ ყმაწვილი აენტო, აიძვრა, მაგრამ მისმა გამხდარმა ბეჭებმა ვერ შესძლო ურჩხულებივით შემოხვეულ პოლიციელთა მკლავებიდან თავის დაღწევა და დანებდა. მიათრევდნენ მას ციხეში და თან შეუბრალებლად სცემდნენ. თვალებამღვრეული სტუდენტები, რომლებიც ახლად ჩამოსულნი იყვნენ რუსეთიდან, პოლიციელს შეეხვეწნენ: ნუ სცემთ მავ საწყალ ბიჭსო. პოლიციელს თითქოს შერცხვა, დაბალი ხმით მიუგო:

— ბატონო, ნაბრძანები გვაქვს ვცემოთ! მათ ლაპარაკს ცხენოსანი კაზაკი შეეწრო და იყვირა:


— ისიც ნაბრძანებია, რომ თუ სტუდენტებმა იმსჯელონ, ციხეში ჩაყარეთო!

ხუტუნია ძალიან შეწუხდა, ამ გამოსარჩლების გამო რომ დააპატიმრეს სტუდენტები, მაგრამ მეორეს მხრივ იმედი მიეცა: გულშემბტკივარ ხალხთან მექნება საქმიო.

მიათრევდნენ ხუტუნიას, ის კი ძლივს გასაგონად ამბობდა: „ნეტავ, გიხილავ, ჩემო მამავ, კიდევ? ნეტავ, დაუბრუნდებით ჩვენს პატარა ქოხს? ნეტავ, შინდის ხე თუ ამოიყრის? აკი თქვა მამამ, შინდის ხე ამოიყრისო, მაგრამ კაცს, კაცს კი რაღა ეშველებათ? მამა! მამა! სადა ხარ, ჩემო სიხარულო! ნეტავ, ნეტავ კიდევ თუ გავითენდება მაისი?“

— გავითენდება, ძამიკო, გავითენდება, დამშვიდდი, გამხნედი, ჩვენც შენთან ვართ! მამაც ცოცხალი იქნება! შინდიც იფეთქებს!— ესმოდა ხუტუნიას იმედიანი ხმები სტუდენტებისა და ისიც იმეორებდა:

— მამა ცოცხალი იქნება და შინდიც იფეთქებს!



პანო მნალი

I

დაიდრა მატარებელი,
 შიგ სხედან გივი, ლილი;
 ქროდა გულმამებელი
 სიო ნელი და გრილი.
 უკან რჩებოდა თბილისი,
 დედაქალაქი ჩვენი,
 შუქი რომ ჰმოსაგეს დილისა
 და ლაქვარდები ჰშვენის.
 აი დიდუბე, ავჭალა,
 ზაპესი, მცხეთა, ქსანი...
 ოცნებამ ფრთები გაშალა
 ნორჩი და სხივოსანი.
 ნახეს ტყე-ველი მრავალი,
 არა ერთი და ორი,
 ბოლოს გამოჩნდა ნარნარით
 ჩვენი მზითური გორი.
 გაჩერდა მატარებელი
 ხმაურითა და ქშენით,
 ყველას გულმამებელი
 პირზე ღიმილი ჰშვენის.


II

ფეხმა სვლას რატომ უმატა?
 გული სად იწევს, ნეტავ?
 დგას გორისციხე ჩუმად და
 წარსულის ნათელ სვეტად.
 გივი და ლილი მიდიან—
 პატარა სახლი ნახონ,
 ყველა სახლზე რომ დიდია,
 მარადქამს საამაყო.
 სახლი, მოსალი რომ არის
 ოქროსთვალემა მზითა,
 სად დედა დიად მომავლის

დიად გენიას ზრდიდა.
 შევიდნენ... ნახეს ნივთები,
 სითბო აქვს ყველა მათგანს,
 უმზერენ, და არ სცილდება
 თვალი ბელადის აკვანს,
 აკვანს, დედა რომ არწევდა,
 ისმოდა ტკბილი ნანა,
 და ფრთებს ისხამდა არწივი
 რიჟრაჟის მოსაყვანად.

III

მოქროდა მატარებელი,
 უკან რჩებოდა გორი,
 ირგვლივ გულმამებელი
 მოჩანდნენ მთები შორი.
 ასიმღერებდა ვაგონებს
 სიო ნელი და გრილი,
 მხიარულობდნენ, ლაღობდნენ
 ჩვენი გივი და ლილი.
 და როცა ნახსივოსნები
 ოდნავ მოხუჭეს თვალი,
 თავს ევლებოდნენ ოცნებით
 მოსკოვს...
 კრემლს
 და დიდ სტალინს!





ალ. კოკია

ცამეტი წლის ლექსო მახათისაკენ მილა-
ლავდა ათიოდე ცხვარს. რქაბასრი ყოჩი ხა-
რისტოლა თვალებით წინ მიდიოდა და ყე-
ლზე ჩამოკიდებულ ეფვანს აქლარუნებდა. დრო-
დადრო შედგებოდა, ბალახს დაყნოსავდა და
კვლავ წინ მიიწევდა. ლექსო კომბალს მოუქ-
ნევდა უკან ჩამორჩენილთ და სევდიანად, თუ-
შურ ყაიდაზე ლილინებდა:

— სხვათა მოჯამაგირობას...

აპრილის მზიანი დილა იყო. მოწმენდილი
ციდან ახლად ამოსული მზე ისე იცქირებოდა,
როგორც უკუნეთ ღამეში ანთებული ჩირაღ-
დანი. მთაწმინდას და მის მიდამოს თეთრი
ნისლი ბურავდა. ფრთამალი სიო დაქროდა
ირგვლივ. ნუშისა და ალუბლის თეთრი ყვა-
ვილები თოვლივით ქათქათებდნენ მწვანე მო-
ლზე. სიცივე იგრძნო ლექსომ, დახეულ ფა-
რაჯაში ჩარგო კისერი და ჭუჭყიანი ფაფარი
ყურებამდე ჩამოიფხატა.

შიდამო ღუმელს მოეცვა.

ცხვარი მთის კალთაზე შედგა და ბალახს
შეიძალა. ლექსო იქვე ლოდზე ჩამოჯდა, ჩან-
თიდან ხმელი პური ამოიღო და მადიანად
დაიწყო ჭამა. ხმაურობა მოესმა საიდანღაც.
წამოდგა, კომბალს ჩაბღუჯა ხელი და მარ-
ჯენივ მოიხედა. შენიშნა: შავხალათიანი მუ-
შები გუნდ-გუნდად მიდიოდნენ ზევით, მლა-
შე ტბისაკენ. ლექსომ გაკვირვებით აიჩეჩა მხრე-
ბი, ვერაფერს მიხვდა. განსაკუთრებით წითე-
ლმა დროშამ, ნიაგი რომ არხევდა, დააინტე-
რესა. ლექსოს ეკლესიაში უნახავს თეთრი დრო-
შა, რომელზედაც ქრისტეს წამება იყო გა-

მხატული, ეს დროშა კი არც თეთრი იყო და
არც ქრისტე ეხატა.

ხალხი გორაკს მიეფარა. დიდხანს უყურე-
ბდა მათ ლექსო, ბოლოს კვლავ ლოდზე ჩა-
მოჯდა. არ გაეგლო ნახევარ საათს, რომ მის-
კენ მომავალი ორი კაცი შენიშნა. ახლა იმათ
დააკვირდა ლექსო. ერთი მათგანი შორიდა-
ნვე იცნო: კეთილი ძია კოტე იყო. ის და ლე-
ქსო ერთ ეზოში ცხოვრობდნენ. ლექსო მის-
კენ გაექანა.

— ძია კოტე! — შესძახა ლექსომ.

— ლექსო, ბიჭო, აქ რისთვის მოსულხარ?
— ჰკითხა ძია კოტემ და გვერდით მდგარ ჭა-
ბუკს, რომელსაც პალტოს საყელო აეწია, გა-
დახედა.

— „ნაზეინმა“ მიბრძანა: მახათაზე კარგი
ბალახია და ცხვრები იქ წალაღეო, — მიუგო
ლექსომ.

უცნობი ახალგაზრდა, რომელიც მალი-მალ
აქეთ-იქით იცქირებოდა, კოტესაკენ დაიხარა
და ჩაულაპარაკა:

— ამ ყმაწვილს კარგად იცნობ?

— როგორც ჩემს თავს, — ჩურჩულითვე მიუ-
გო კოტემ.

უცნობმა ახედ-დახედა ლექსოს და კოტეს
რალაც ანიშნა:

— აბა, ლექსო! წამოლაღე ეგ ცხვრები
აქეთ. ისეთი საბალახო გაჩვენო, რომ შენი
მოწონებული. — უთხრა კოტემ.

ღუმელით გაიარეს ერთ კილომეტრამდე.
მუშების ლაპარაკი და ხმაურობა გარკვევით ეს-

მოდა ლექსოს. კოტე შედგა და პატარა მწყემსს მიუბრუნდა:

— აქ დარჩი, ცხვარი აძოვე, თუ ვინმე დაინახო, შეგვატყობინე.

უცნობი და კოტე ქვევით დაეშვნენ გორაკიდან. ლექსომ ქვემოთ ჩაიხედა. ირგვლივ პატარა ბუჩქობებით შემოზღუდულ ვაკეზე, ტბის პირად, ორასამდე კაცი ირეოდა. აქა-იქ მოსირმული დროშები მზის სხივებზე თვალმომჭრელად ელვარებდნენ. ყველას სახეს გაურკვეველი სიხარულის ფერი დასთამაშებდა, ყველას თვალები ვარსკვლავებით ციმციმებდნენ.

ლექსომ ცხვარს გადახედა, მიდამოს თვალი შეავლო, მკერდით მოლზე გაწვა და მხერად იქცა.

უცებ დროშის გვერდით, ამაღლებულ ადგილას, ის უცნობი ახალგაზრდა გამოჩნდა, რომელიც კოტეს მოჰყვებოდა წელან. წამით ყველაფერი გაინაბა, მერე კი, თითქოს მეხი გავარდნილიყოს, ტაშმა იგრიალა. შეიქნა ჩოჩქოლი:

— სოსო! სოსო!

— ჩვენი სოსო!

სახეგაბრწყინებული მუშები ახალგაზრდას მისჩერებოდნენ. მან დაიწყო ლაპარაკი დინჯი და დამაჯერებელი ხმით.

ლექსოსაც ესმოდა მისი ზოგიერთი სიტყვები.

— ჩვენი ძალა ჩვენს კავშირშია, და მხოლოდ ჩვენს ერთობას შეუძლია დაგლიჯოს ის ჯაჭვები, რომლითაც შებოჭილი ვართ დღევანდელი წესწყობილებისაგან! — თქვა ორატორმა.

კვლავ იგრიალა ტაშმა.

როცა ტაშისცემა მიწყნარდა, კოტემ ასეთი წინადადება შემოიტანა: პირველი მაისობის აღსანიშნავად ქალაქის ქუჩებში დროშით და რევოლუციური ლოზუნგებით დარაზმულეზმა ჩავიაროთო. კოტეს სიტყვა არ დაემთავრებინა, როცა ლექსოს ცხენების ფეხის ხმა მოესმა. უმალ წამოხტა და ქვევით ჩასძახა:

— ყაზახები!

შორიდანვე შენიშნა ლექსომ ცხენოსნები. წინ ყაზახთა ოფიცერი აგურისფერ ულაყს მოაგვლევებდა. უკან ათამდე ყაზახი მოსდევდა.

ლექსომ, თითქოს არაფერიაო, ცხვრები

იმათკენ წალალა და სალამური მოიძარჯვა. ოფიცერმა გაოფლიანებული ულაყი ლექსოს წინ გააჩერა, რისხვით გადმოხედა და ჩახლენილი ხმით ჰკითხა:

— აქ რას აკეთებ, ლეკვო?

— ცხვარს ვაძოვებ, შენი კენესამე...


— დიდი ხანია, რაც აქა ხარ?

— დიდიდან, შენი კენესამე.

— აქ ახლომახლო ხომ არავინ დაგინახავს?

— მაცდურად ჩააცქერდა თვალებში ლექსოს.

— აქ არა, შენი კენესამე და... შეჩერდა



— მართალს ამბობ?

ლექსო.

— მაშ სად? — ყურები ცქვიტა ოფიცერმა და მისკენ გადმოიხარა.

— აი, იქით მიდიოდნენ წელან... — ლექსომ ხელი კუკიის სასაფლაოსაკენ გაიშვირა.

— მართალს ამბობ?

— მართალს მოგახსენებ, შენი კენესამე.

— „За мной!“ — შეუყვია ოფიცერმა ყაზახებს, მათრახი გაიქნია და ცხენი ადგილს მოსწყვიტა.

ლექსომ ღიმილით გააყოლა თვალი. როცა ყაზახების ცხენების ხმა მიწყდა, ქვევიდან სოსო ამოვიდა, ლექსოს მიუახლოვდა, მარჯვენა ხელი მხარზე დაჰკრა და კმაყოფილებით შესძახა:

— ყოჩაღ, ყმაწვილო!



ევროპის სახელმწიფოებს შორის ატეხილი ომი იმ ომებთან შედარებით, რაც კი ისტორიას ახსოვს, ყველაზე ფართო მასშტაბისაა.

მერე და ვის ზურგზე გადადის ომების მთელი საშინელებანი?


აი რას წერს ერთი ინგლისელი მოსწავლე გოგონა სადი თავის წერილში, რომელიც დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ გაზეთში:

„ისე ვარ დაბნეული, რომ არ ვიცი, საიდან დავიწყო. მე ვლაპარაკობ იმ საშინელ ბომბარდირებაზე, რომელშიც გახვეულია ლონდონი უკანასკნელი კვირების განმავლობაში. წარმომიდგენია, თუ როგორი ამაღელვებელი ცნობები იბეჭდება თქვენს გაზეთებში. ყველაფერს ამის შესახებ თქვენ დამშვიდებული კითხულობთ საუზნის დროს, და ჩვენ კი მოსვენება არა გვაქვს.

ჩვენთან, ლონდონში, დღისითაც კი ორსამჯერ ხდება ბომბარდირება. მაგრამ, ჩვეულებრივ, საგანგაშო საყვირის ღრიალი გაისმის საღამოს ცხრა საათიდან და მხოლოდ გათენებისას წყდება. ჩვენს თავზე ყოველთვის ისმის მტრის თვითმფრინავთა ხმა. მოტორები განუწყვეტლივ გუგუნებენ. ჩვენ უკვე კარგად ვარჩევთ ბრიტანეთის თვითმფრინავთა მოტორების გუგუნს მტრის თვითმფრინავთა მოტორების გუგუნისაგან. აჩრდილებივით დასრილებენ ცაზე პროექტორების სხივები. უზარმაზარი საოცრება გამოიჩნდება ხოლმე ღრუბლებიდან, ისმის საშინელი გრიალი—ეს არის ყუმბარის გასკდომა. ამავე დროს მოისმის ტყვიამფრქვევის კაკანი და საზენიტო ქვემეხების გუგუნი.

პირველი კვირების განმავლობაში ჩვენ ყველანი ძალიან აღშფოთებული ვიყავით. ახლა კი ეს აღშფოთება შეიცვალა უკიდურესი გულგრილობით. ჩვენ საშინლად დავიქანცეთ დაუსრულებელი უძილობით. დილით, თავდასხმის შემდეგ, გაკვირებული ვართ, რომ ცეცხლის ხაზს ჩვენს სახლამდე არ მოუღწევია.

ყველაზე უფრო საშიში მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ცეცხლგამჩენი ყუმბარები და ნამსხვრევებია, რომლებიც უდიდესი რაოდენ-



ორი სამყარო.



ნობით იყრება. ხალხი ლაპარაკობს, რომ ათასეული სიცოცხლის გადარჩენა შეიძლება ნამდვილი თავშესაფრის შემწეობით. ვისაც ფული ბევრი აქვს, მას კარგი თავშესაფარიც აქვს. ღარიბებისათვის კი მხოლოდ თუნუქის უბრალო ბანაკებს აშენებენ. ამიტომ მრეულვარება ხალხში დღითიდღე იზრდება.


ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც ომთანაა დაკავშირებული. ჩვენ, ბავშვები, ბედის ანაბარა ვართ მიშვებული. სასწავლებელში სწავლა შეწყვეტილია მთლიანად ან ნაწილობრივ. მრავალი სასწავლებელი დაიხურა და მათ მაგივრად არაფერი გახსნილა. ხალხი დაღვრემილია და ლაპარაკობს ომზე, სამხედრო მრეწველობაზე, არმიასზე, ფლოტსა და თვითმფრინავებზე, საინტერესოა ვიცოდეთ, რას აკეთებენ ახლა ჩემი ამერიკელი ნათესავები. ვიმედოვნებ, რომ ევროპის საშინელებები ამერიკას არ ეხება.

თქვენი სადი“

აი რა სასაოწარკვეთილებითაა აღსავსე გოგონა სადის წერილი.

სულ სხვაა ჩვენი ქვეყნის, საყვარელი საბჭოთა კავშირის, ნორჩი თაობის ცხოვრება. იგი წარმტაცია, ლამაზია შინაარსით. ამის მოწმენი თქვენ ყველანი ხართ.

დომიტრი კასრაქე.



ყუმბარის გამაყრუებელმა ხმამ შესძრა ჰაერი. ხაიმარკეტის მოედნის ქვები მოირწყა მუშა-დემონსტრანტების სისხლით. ხალხმა მოედნიდან მეზობელ ქუჩებს მიაშურა, მაგრამ მათ იქ უკვე უცდიდნენ ჯარისკაცებისა და პოლიციელთა რაზმები.


თურმე, მოსყიდულმა პოლიციელებმა ისროლეს ყუმბარა, ხოლო აფეთქება იმ მუშებს გადააბრალებს, რომელთაც მოაწყეს მიტინგი ხაიმარკეტის მოედანზე.

ასობით აქტიური მუშა ჩაადგეს ციხეში, ბევრს სასიკვდილო განაჩენი ხვდა ხვედრად.

ასე ველურად გაუსწორდნენ კაპიტალისტები მუშებს ქალაქ ჩიკაგოში (ამერიკა) 1886 წლის პირველ მაისს, ასე ჩაახრჩეს სისხლის ღვარში ჩიკაგოს მუშების საერთო გაფიცვა.

სასტიკი დარბევით ფიქრობდნენ კაპიტალისტები გაფიცული მუშების შეშინებას, მაგრამ შეცდნენ.

ჩიკაგოელი ამხანაგების გმირული ბრძოლის აღსანიშნავად, ამერიკის მუშათა ორგანიზაციამ გადაწყვიტა, ყოველი წლის პირველ მაისს, მოეწყოთ მასობრივი დემონსტრაციები. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს საფრანგეთის მუშათა ორგანიზაციებმა, ხოლო ერთი წლის შემდეგ მეორე ინტერნაციონალის პირველმა კონგრესმა დაადგინა ყოველი წლის პირველ მაისს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მშრომელთა დემონსტრაციების მოწყობა. აი ასე გახდა პირველი მაისი ყველა ქვეყნის მუშათა რევოლუციურ ძალთა დათვალეობის საერთაშორისო დღესასწაულად, ბრძოლისა და შრომის დღესასწაულად.



მუშებმა პირველი მაისი მთელს მსოფლიოში პირველად 1890 წელს იდღესა-სწაულეს.

მაშინ კარლ მარქსი ცოცხალი აღარ იყო. ფრიდრიხ ენგელსი კი, რომელიც მოესწრო ამ დღეს, წერდა:

„მხოლოდ ცოტა ხმები გამოგვეხმაურა, როცა ჩვენ ორმოცდაორი წლის წინათ მსოფ-ლიოში გადავისროლეთ ეს მოწოდება პარიზის რევოლუციის წინ, რომელშიაც პროლე-ტარიატი თავის მოთხოვნებით გამოვიდა, მაგრამ 1864 წლის 28 სექტემბერს დასავლეთ-ევროპის ქვეყნების პროლეტარიატის უმრავლესობა გაერთიანდა ნეტარსახსოვარ მუშათა საერთაშორისო ამხანაგობაში. მართალია, თვით ინტერნაციონალი ცოცხლობდა სულ მხო-ლოდ ცხრა წელიწადი, მაგრამ მისგან დაფუძნებული მუდმივი კავშირი ყველა ქვეყნის პროლეტართა ცოცხლობს კიდევ და ცოცხლობს უფრო ძლიერად, ვიდრე ოდესმე; ამის საუკეთესო დამამტკიცებელია სწორედ დღევანდელი დღე, ვინაიდან დღეს, როცა ვწერ ამ სტრიქონებს, ევროპისა და ამერიკის პროლეტარიატი აწარმოებს თავისი საბრძოლო ძა-ლების დათვალიერებას, რომელნიც პირველად არიან მობილიზებულნი ერთიან არმიად ერთი დროშის ქვეშ... ო, ნეტავ ახლა მარქსი იყოს ჩემს გვერდით, რომ თავისი თვალით დაენახა ეს!“

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ფრიდრიხ ენგელსს და კარლ მარქსის ქალიშვილს ელეონორა მარქსს საპირველმაისო მიტინგზე ლონდონში, გაიდ-პარკში. ათასობით ადამიანებმა წითე-ლი დროშებითა და პლაკატებით აავსეს უზარმაზარი მოედანი. ამ დღეს ლონდონში ხუთა-სიათასმა მშრომელმა მიიღო მონაწილეობა დემონსტრაციაში. ენგელსმა თავისი თვალით დაინახა, როგორ ხორციელდებოდა მისი სიცოცხლის ოცნება, როგორ დგებოდნენ მარქსისა და მის მიერ გაღვივებულ ჩაგრულთა მილიონები საბრძოლველად.



სხვა ქვეყნების მუშებთან ერთად რუსი მუშებიც დღესასწაულობდნენ პირველ მაისს.

ფარულად იკრიბებოდნენ ისინი სადმე ქალაქგარეთ ტყიან ველებზე, ისმენდნენ ორატორთა მხურვალე სიტყვებს, კითხულობდნენ რევოლუციურ ფურცლებს.

1896 წლის პირველი მაისის წინაღობის ვლადიმერ ილიჩი ციხეში იჯდა (იქ ჩაამწყვდიეს ჟანდარმებმა) და წერდა საპირველმაისო მოწოდებას. ის მან მეციხოვნეების ფარულად გადასცა ამხანაგებს მათ ფურცლები გადაბეჭდეს გექტოგრაფზე, და აი, პირველ მაისს, პეტერბურგის მუშები კითხულობდნენ მხურვალე ლენინურ სიტყვას.

ილიჩი ციმბირში გადაასახლეს. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული იგონებდა, თუ როგორ შეხვდნენ პირველ მაისს ისინი შორეულ გადასახლებაში, სოფელ შუმენსკოში. გადასახლებაში მყოფი რამდენიმე რევოლუციონერი შეიკრიბა ამხანაგის ქოხში და ერთად წამოიწყეს სიმღერა.

„ვიმღერეთ რუსულად, იგივე სიმღერა ვიმღერეთ პოლონურად და გადავწყვიტეთ წაესულიყავით ნასადილევს მაისის საღმრესასწაულოდ მინდორში... სალამოს კი მე და ილიჩს როგორღაც ძილი არ გვეკარებოდა, ვოცნებობდით მძლავრ მუშათა დემონსტრაციებზე, რომლებშიაც ჩვენ ოდესმე მივიღებდით მონაწილეობას...“



1901 წლის საპრეფექტოსო დემონსტრაციის დროს



ბოლისში აშანავ სტალინის ხელმძღვანელობით.

ნახ. უნა ფაფარიძისა.

სასოცარი ამბავი მოხდა ჩვენს ქვეყანაში ამ ორიოდე წლის განმავლობაში. 1899 წლის 19 აპრილს სულ სამოცდაათიოდე მუშამ, რომელთაც ქალაქგარეთ წითელი დროშის ქვეშ ფარულად მოეყარეს თავი, მტკიცედ შეჭვიცეს ერთმანეთს: შევერთოთ, შემოვიერთოთ ყველა ჩვენი მოამბენი და ჩვენს საერთო მტერს—ბურჟუაზიას და მთავრობას—მეღვრად შევებრძოლოთ.

ერთი წლის შემდეგ, 1900 წ. ისევ 19 აპრილს, ეს სამოცდაათიოდე მუშა უკვე ოთხას-ხუთას მუშად გაზრდილიყო და აი ამათაც, ისევ ქალაქგარეთ წითელი დროშის ქვეშ თავმოყრილთ, კიდევ უფრო მტკიცედ შეჭვიცეს ერთმანეთს მშობა-ერთობა და მტერთან თავებანწირული ბრძოლა.

კიდევ ერთი წლის შემდეგ, 1901 წ. 22 აპრილს, ოთხას-ხუთასიოდე მუშას უკვე ორიათასამდე ეზარტათ. ეს უკვე მთელი ჯარი იყო, ესენი თავს აღარ იფარავენ ქალაქგარეთ, შიგ შუა ქალაქში გამადიან მოედანზე, იმავე წითელი დროშით ხელში, და უკვე საბრძოლველად იწვიენ რა მტერს, ხამაილა, ყველას ვასაგონად, გაიახიან: „ვაშუარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას! ძირს მტარავლობა! გუშარჯოს რვა საათის სამუშაო დღეს!“


ეს სტრეიკები ამოღებულია გაზით „ბრძოლადან“, რომელიც, წერდა რა ამას, დღებით შეფასებას აძლევდა მაშინდელ მუშათა მოძრაობას კავკასიაში.

ბოლისში 1901 წლის 22 აპრილს მოწყობილი საპაისო დემონსტრაციის შესახებ უამრავი მოგონება არსებობს თვით იმ შემებისა, რომელნიც უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას ამ დემონსტრაციაში.

აი რას მოგვითხრობს ერთი მთავანი, ძველი მუშა გ. ნინუა:

„...მისობა 22 აპრილისათვის დანიშნა, ვერა დღისათვის, და უნდა გამართულიყო ოსალდათის ბაზარში. ჯერ კიდევ ამ დრომდე ქალაქში ვრცელდებოდა აშანავ სტალინის დაწერილი პროკლამაციები. 22 აპრილს დილიდან გვიცმართეთ დანიშნული ადგილისკენ. ყოველი შემთხვევისათვის მუშები შინდის ჯობებით იყვნენ შეიარაღებული. მოვიდნენ პოლიციელები და ეზნდარბები, რომლებიც ფარულად გვითავაზუვებდნენ.

დანიშნულ დროს მოგვეს სვანაო და აფრიოდა წითელი დროშა. ჩვენ გარს შემოფრტყით დროშას. თუიამ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და ჩვენ წითელი დროშით გაცურეთ წინ, სემინარიისკენ, საიდანაც სემინარიელები უნდა შემოგვემატებოდნენ. ამ დროს ამხანაგმა სტალინმა გავფურთხილა, გვა გადალობლი გვაქვსო. ერთბაშად მოლოციელები და ეზნდარბები შემოგვერტყუნენ. ისინი თავით ფხამდე შეიარაღებულნი იყვნენ, ჩვენ კი ჯობებით ვიცავდით თავს...“



საქართველო
საბჭოთაო
საქართველო

ჩინური ხალხური ზღაპარი

ძველად, სულ წინათ, პატარა სოფელში, მდინარე იანძის ნაპირას, ცხოვრობდა ერთი ღარიბი გლეხი ხუან სიაო. დილიდან საღამომდის შრომობდა, მაგრამ თავსაც ვერ ირჩენდა. ბოლოს იძულებული გახდა მდიდარი ბიძის სახლში წასულიყო მოჯამაგირედ.

ერთხელ, როდესაც სიაო ქათმებს საკენკს აძლევდა, მოფრინდა ვეებერთელა ქორი, ბრჭყალები დაავლო ყველაზე მსუქან დედალს და დასავლეთისაკენ გასწია დაბლა ფრენით. ქორს დაედევნა სიაო, გადაწყვიტა თვალყური ედევნებინა, თუ სად დაფრინდებოდა, და დედალი წაერთმია. ქორი კი სულ უფრო შორს მიფრინავდა და ბოლოს საუცხოო ქრიზანტემების ბაღში დაეშვა. სიაომ მოახერხა ღობეზე გადასვლა და ყვავილთა შორის დაინახა მშვენიერი ქალიშვილი. უცხო ასულმა საღამოს ცასავით ღრმა თვალები მიაპყრო ლამაზ ქაბუკს. მათ პირველი შეხედვისთანავე შეიყვარეს ერთმანეთი.

- რა გქვია? — იკითხა სიაომ.
- უან მეი. შენ რა გქვია?
- ხუან სიაო.

— უკვე შემიყვარდი, სიაო, მინდა შენი ცოლი გახდე. წადი და მამაჩემს შუამავალი გამოუგზავნე, დარბაისელი კაცი იყოს, იცოდე. სიხარულით გაბრუებული სიაო შინ დაბრუნდა და ბიძის სთხოვა შუამავლობა.

უან მეის მამამ, როცა სიაოს სიღარიბე გაიგო, უპასუხა:

— თუ მას ჩემი სიძეობა უნდა, საქორწილო საჩუქრად გამოგზავნოს ათი ოქროს აგური,

ოქროს ცერცვის საწყაული, სამი წითელი თმა და წყალუქარებელი მარგალიტი. თუ არა და ვერასოდეს ნახოს ჩემი ქალიშვილიო.

როცა სიაომ ასეთი პასუხი მოისმინა, გადაწყვიტა რჩევის მისაღებად წასულიყო ძველ ბუდასთან დასავლეთის ცაში.

გრძელი, რთული გზა იდო მის წინაშე, მაგრამ სიაო მაინც იმედიანად, უშიშრად მიდიოდა წინ.

ერთხელ იგი დიდ ქალაქს მიაღწა, დაინახა, რომ ხალხი კედელს აგებდა. როცა ქალაქის მცხოვრებლებმა გაიგეს სიაო ძველ ბუდასთან მიდისო, სთხოვეს:

— ჰკითხე ძველ ბუდას, რატომ ვერ ვაშენებთ კედელს ამ ადგილზე, ირგვლივ სულ დავამთავრეთ და აქ კი მუდამ ინგრევა და ინგრევა.

სიაო შეჰპირდა თხოვნის შესრულებას და კვლავ გზას გაუდგა. ერთი სოფლის ახლოს მასთან მივიდნენ გლეხები და, როცა გაიგეს სად მიდიოდა, სთხოვეს:

— უთხარი ძველ ბუდას, რატომ ნაყოფს არ ისხამს ჩვენი სოფლის ბოლოში ამოსული ალუბალი, რომელიც ყოველ წელიწადს ყვავისო.

სიაო ამ თხოვნის შესრულებასაც შეჰპირდა და კვლავ გზას გაუდგა.

ერთ სახლთან მივიდა. კართან მოხუცი იჯდა. როცა გაიგო, სიაო დასავლეთის ცაში მიდისო, მოხუცმა სთხოვა:

— უთხარი ძველ ბუდას, როგორ მოვარჩინო ჩემი მუნჯი ქალიშვილი. მას უკვე თვრამეტი წელი შეუსრულდა და, მიუხედავად სილამაზისა, ცოლად არავინ თხოულობსო.

სიაო მოხუცს შეჰპირდა ამ თხოვნის შესრულებას და კვლავ გაუდგა გზას.

მრავალი დღეღამე იარა, მრავალ დაბრკოლებას შეხვდა, გადადიოდა აზვირთებულ ნიაღვრებზე, ფოფხავდა ციციბო კლდეებზე, გადალახა უწყლო უდაბნო და ოკეანის ნაპირს მიაღწია. აქ სიაო გაჩერდა, დაიწყო თავის თავთან მსჯელობა, თუ როგორ გადაეღაზა ოკეანე, რომ დასავლეთის ცაში მოხვედრილიყო. მისი ხმა უზარმაზარმა შავმა კუმ გაიგონა, მიცურდა და უთხრა:

— მე გადაგიყვან ოკეანეზე, ოღონდ ძველ ბუდას შეეკითხე, როგორ მოვიქცე, რომ ზღვის ფსკერზე დავეშვა, რამდენიმე წელია, რაც ტალღებზე ცურავს ჩემი ტანი.

სიაო შეჰპირდა სურვილის შესრულებას, დაჯდა მის ზურგზე და ოკეანე გადასერა.



მაღე მან დასავლეთის ცაში ამოყო თავი. ძველი ბუდა შეეკითხა—რაზე გარჯილხარო, მაგრამ სიაომ ჯერ სხვა დანაბარები უამბო, ბოლოს კი თავის მოსვლის მიზეზიც გაუმხილა. ძველმა ბუდამ ასე უპასუხა:

— ქალაქის კედელი იმიტომ ინგრევა, რომ იმ ადგილას მიწაში დაფლულია ათი ოქროს აგური. ალუბალი ნაყოფს იმიტომ არ იხსამს, რომ მის ქვეშ დამარხულია ოქროს ცერცვის

საწყაული, მოხუცის ქალიშვილს თავიდან ამოგლიჯე სამი ღერი თმა და ისიც ხმას ამოიღებს; და რომ კუმ შეიძლოს ზღვის ფსკერზე ჩასვლა, პირიდან ამოაცალე მარგალიტი, რომელიც წყალს არ იკარებს. ამრიგად, ამით სხვასაც დაეხმარები და შენს სურვილსაც შეისრულებ.

სიაომ მადლობა გადაუხადა ძველ ბუდას და გახარებული გამობრუნდა უკან.

მას უკვე დიდი ხანია ელოდა უზარმაზარი შავი კუმ, კისერი გამოუწვდინა და სწრაფად შეეკითხა:

— აბა, რა გითხრა ძველმა ბუდამ?

— ჯერ გაღმა ნაპირს გამიყვანე და შემდეგ მოგიყვები.

როცა სიაო მეორე ნაპირას გაჩნდა, კუს უბრძანა ხახა გაეღო, ამოიღო იქიდან წყალუკარებელი მარგალიტი, და შავი კუმ თავლის დახამხამებაში ჩაიმალა წყალში. სიაომ მარგალიტი შეინახა და კმაყოფილმა განაგრძო გზა.

მოხუცი სახლის კარებთან უცდიდა.

— აბა, რა გითხრა ძველმა ბუდამ?—შეეკითხა იგი.

— მაჩვენე შენი ქალიშვილი, განგკურნავ მას.

სიაომ თავიდან ამოჰგლიჯა სამი წითელი თმა. მან მაშინვე დაილაპარაკა. აცრემლებულმა მოხუცმა ქალიშვილთან ერთად მადლობა გადაუხადა სიაოს, და ისიც გახარებული გაუდგა გზას.

როცა სოფელს მიუახლოვდა, დაინახა, რომ გლეხები მოუთმენლად ელოდებოდნენ.

— აბა, რა გითხრა ძველმა ბუდამ?—შეეკითხნენ ისინი.

— მიჩვენეთ, სად იზრდება ალუბალი, და ისე მოვიმოქმედებ, რომ მან ნაყოფი გამოიხსასო.

ალუბალთან მიიყვანეს სიაო. მან ამოთხარა მიწა და ამოიღო ოქროს ცერცვის საწყაული. იმ წამსვე აფერადდნენ ტოტებზე მწიფე ალუბლები.

გლეხებმა არ იცოდნენ, რით გადაეხადათ მადლობა, და ისიც კიდევ უფრო გამხიარულიებული გაუდგა გზას.

ქალაქის მცხოვრებლები უკვე ელოდნენ მის მოსვლას და როგორც კი შორიდან შეამჩნიეს, შეეკითხნენ:

— აბა, რა გითხრა ძველმა ბუდამ?

პასუხის ნაცვლად, სიაო მივიდა იმ ადგილას, სადაც ჩამონგრეული კედელი იყო, ამოიღო მიწიდან ათი ოქროს აგური და უთხრა:

— ახლა ააშენეთ კედელი.

ხალხმა კედელი ამოიყვანა. იგი მტკიცედ დგას და არ ინგრევა.

სიაო ამ დროს შინსაკენ მიიჩქაროდა, ბედნიერი იმით, რომ სხვებსაც დაეხმარა და მალე უან მეისაც შეერთავდა.

საქორწილო საჩუქრების მიღების შემდეგ, უან მეის მამას არაფერი დარჩენოდა თავისი დაპირების შესრულების გარდა.

ტკბილად, სიყვარულით ცხოვრობდნენ სიაო და უან მეი. ისინი კმაყოფილნი იყვნენ ბედისა. სიაოს ძლიერ უყვარდა ცოლი და სთხოვა დაეხატა საკუთარი სურათი, რომელსაც ყველგან დაატარებდა ხოლმე. როცა მინდვრად იმყოფებოდა, ხშირად ამოიღებდა და მისით ერთობოდა. ერთხელ უეცრად მოვარდნილმა გრიგალმა სიაოს ხელიდან გამოსტაცა ცოლის სურათი და შორს წაიღო. დიდხანს ეძებდა მას სიაო, მაგრამ ამაოდ.

გრიგალის მიერ გატაცებული სურათი კი შორს მიფრინავდა და მიფრინავდა, სანამ იმპერატორის ოქროს დარბაზში არ ჩაფრინდა. სურათი იმდენად მოეწონა იმპერატორს, რომ თავის ხელქვეითებს უბრძანა:

— ვერ არასოდეს არ მინახავს ასეთი მშვენიერი არსება. წაიღეთ სურათი და ყველგან ეძიეთ ის ქალი. თუ ვერ აღმოაჩენთ, დაისჯებითო.

იმპერატორის მსახურნი დიდხანს ეძებდნენ, სანამ სიაოს სახლი ვერ იპოვეს. როგორც კი უან მეი დაინახეს, მათ მაშინვე გამოიციენს სურათზე დახატული ქალი და მიუხედავად ქვი-

თინისა და მუღარისა, ძალით მიჰგვარეს იმპერატორს. სახლიდან წაყვანამდის უან მეიმ ჩუმად ჩასჩურჩულა სიაოს:

— როცა მე წავალ, პირუკულმა გადააბრუნე ცხვრის ქურქი, ჩაიციე და იმპერატორთან გამოცხადდი. თავს ისე დაევიქერ, რომ ჩვენ კვლავ ერთად ვიქნებით.

უან მეი ოქროს დარბაზში შევიდა. იმპერატორმა გვერდით მოისვა იგი და მას შემდეგ ერთი წამითაც არ მოუშორებია. იმპერატორი ყოველგვარ მზრუნველობას იჩენდა მისდამი, მაგრამ უან მეი სულ ჩუმად, დაღვრემილი იყო. მის ბაგეს ერთხელაც არ დასტყობია ღიმინის ნასახი.

ერთხელ, როცა იმპერატორი, როგორც ყოველთვის, გულდასმით ცდილობდა უან მეის გამხიარულებას, დარბაზში შემოვიდა სიაო პირუკულმა გადაცემული ქურქით. უან მეიმ შეხედა და მხიარულად გადაიკისკისა. იმპერატორი გაკვირვებით შეეკითხა:

— რა გაგეხარდა, უან მეი?


— მომწონს ამ კაცის ქურქი და თუ მას ჩაიცვამ, მუდამ მხიარული ვიქნები.

იმპერატორმა მოიხმო სიაო, უბრძანა გაეხალა ქურქი, სამაგიეროდ მისცა თავისი ტანსაცმელი რომელიც, დრაკონებით იყო მოქარგული. როგორც კი იმპერატორმა ქურქი გადაიცვა, უან მეიმ ხელქვეითებს დაუყვირა:

— ამ ქურქიანმა კაცმა შეურაცხყოფა მომაცენა, გაეციეთ განკარგულება, თავი მოჰკვეთონ! მაშინვე სტაცეს ხელი იმპერატორს და თავი მოჰკვეთეს, სიაო კი ავიდა ტახტზე უან მეის გვერდით და მას შემდეგ ისინი ტკბილად, განუყრელად ცხოვრობდნენ ერთად.

გადმოაკეთა **მ. შუბრულმა**.





სასტიკი და დაუნდობელი კლასობრივი მტერი, მისი ვერაგი ხელით, ბოლშევიკურმა პარტიამ არა ერთი და ორი საუკეთესო შვილი დაკარგა. მტრის გაიძვერული მოქმედების შედეგად დაიღუპა, აგრეთვე, სახელოვანი საბჭოთა ჩეკისტი, შესანიშნავი ბოლშევიკი, ვიჩქესლავ რუდოლფის-ძე მენჭინსკი.

მენჭინსკი გარდაიცვალა 1934 წლის 10 მაისს, როდესაც მის ისედაც დასუსტებულ ორგანიზმს სასიკვდილოდ მოერია მტრის საწამლავი.

მენჭინსკი მოწამლეს საზიზღარმა ტროცკისტ-ბუხარინელებმა, ვინაიდან მისი სახით ფრიად საშიში მოწინააღმდეგე ჰყავდათ. მტრისადმი




მენჭინსკი—გიმნაზიელი.


დაუნდობელმა მტკიცე ბოლშევიკმა, ვიჩქესლავ რუდოლფის-ძემ ჯერ კიდევ 1927 წ. მე-15 პარტკურილობის წინ, საკავშირო კომუნისტური (ბ) პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოამყავნა ტროცკისტების კავშირი თეთრგვარდიელებთან, მათ გამცემლობა. და განა საეჭვოა იყო მტრის ასეთი გააგება მენჭინსკის მიმართ?

ბოლშევიკურმა პარტიამ სასტიკად გაუსწორა ანგარიში მშრომელთა მოღალატეებს, სოციალისტური სამშობლოს დაუძინარ მტრებს, ვერაგ მკვლელებს. მტერი აღიგავა პირისაგან მიწისა.

ვ. რ. მენჭინსკის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ხალხის გულში.



ვიჩქესლავ რუდოლფის-ძე დასვენების დროს.



პროფ. სარბის კატაბაძე

დავით აღმაშენებელი არის საქართველოს ფეოდალური წყობილების დროინდელი ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე. მას, როგორც მმართველს, მეტად დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ამიტომაც უწოდა მას ხალხმა აღმაშენებელი, დიდი დავითი.

დავითი დაიბადა 1071 წელს. ის იყო საქართველოს მეფის გიორგი მეორის შვილი. საქართველო მაშინ სამეფოს წარმოადგენდა. გამეფებული იყო ფეოდალური წყობილება, რომელიც ხასიათდებოდა შემდეგით: მთელი მიწა-წყალი შეადგენდა ცალკე გვარეულობათა საკუთრებას; მეფე წარმოადგენდა ყველაზე უფრო მსხვილ მფლობელს და ამიტომ ის იყო დიდი შეძლებისა და ძალის მქონე. მიწას ამუშავებდნენ გლეხები და მოსავლის განსაზღვრულ ნაწილს აძლევდნენ მიწის პატრონს—მებატონეს. ამ მებატონეთ მაშინ დიდებულებსა და აზნაურებს ეძახდნენ. დიდებულნი იყვნენ უფრო შემქმნელ გვარების წევრნი, ბევრი მიწა-წყლის მქონენი, მათ მორჩილებაში გლეხებიც ბევრი ჰყავდათ. აზნაურები შედარებით დიდებულე-ბთან უფრო წვრილი მფლობელები იყვნენ.

ფეოდალები (დიდებულები და აზნაურები) მუდამ იარაღში ისხდნენ. ისინი მძიმედ იყვნენ შეიარაღებულნი რკინის ჯავშანითა და ჩაფხუტით. ჯავშანს ტანზე იცვამდნენ, ჩაფხუტს კი თავზე იხურავდნენ. მეომარს უნდა ჰყოლოდა ჩვეულებრივ ცხენებს გარდა ღონიერი საომარი ცხენიც. ამ საომარ ცხენსაც რკინის ჯავშანს უკეთებდნენ, რომ ბრძოლის დროს

მტერს არ წაექცია. ასეთ მძიმედ შეიარაღებულ მეომარს რაინდს ეძახდნენ. საბრძოლო ტანსაცმელში გამოწყობილ რაინდს მხოლოდ თვალები უჩანდა, რომ რაინდებს ერთმანეთი ეცნოთ. ისინი სხვადასხვა ნიშნებსაც იკეთებდნენ.

რაინდი ომში მარტო ვერ წავიდოდა. მას ესაჭიროებოდა რამდენიმე მუღმივი დამხმარე მეომარი, რომ ცხენზე შეესვათ (შეჯავშნული კაცი ცხენზე თავისით ვერ ჯდებოდა), გაჭირვების დროს ერთგულება გაეწიათ და სხ. დაქირავებული კაცი მას შორეულსა და საშიშ ლაშქრობაში არ გამოადგებოდა. ამიტომაც რაინდებს მემკვიდრეობით ასეთ დამხმარე მეომრებად ჰყავდათ თავისი ყმები. მემკვიდრე ყმამ იცოდა, რომ მისი ერთგული სამსახური არ დაიკარგებოდა, თვითონაც რომ დაღუპულიყო, მის ოჯახს ფეოდალი მიხედავდა, მიწა-წყალს არ წაართმევდა.

ფეოდალური წყობილების დროს ყველაფერი მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე.

ქვეყნის უზენაესი მართველობაც მამიდან შვილზე გადადიოდა. უზენაეს მმართველს ეძახდნენ მეფეს. როდესაც ერთი მეფე მოკვდებოდა, მის ადგილს მისი შვილი იჭერდა.

ასე იყო ფეოდალური წყობილების წარმატების პერიოდში. შემდეგ ხანებში კი ფეოდალებმა დაივიწყეს, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ ეფიქრათ მშრომელი ხალხის დაცვაზედაც. ისინი დარჩნენ მხოლოდ ექსპლოატატორებად, მუქთახორულ ცხოვრებას მისდევ-

დნენ და ავიწროვებდნენ გლეხებს. მეფეებიც ასეთივენი გახდნენ.

ფეოდალური წყობილება დაცემას განიცდიდა, ის უნდა მოსპობილიყო თავისი მეფეებით, თავადებითა და აზნაურებით, და მოისპო კიდეც.


დავითის მამა გიორგი მეტად ფუქსავატი კაცი იყო, ნადირობას არჩევდა სახელმწიფო საქმეს, ამიტომაც მის დროს საქართველოს საქმეები ძლიერ ცუდად წარიმართა: თურქები შემოესივნენ საქართველოს, ქვეყანა საშინლად ააოხრეს. ქართლში მოსახლეობა ამოჟლიტეს. ვინც თურქების მახვილს გადაურჩნენ, ისინი, მთებში გაქცეულნი, შიმშილ-სიცივით დაიღუპნენ. გიორგი მეფემ ბოლოს იკადრა თურქების სულთანთან მოლაპარაკების გამართვა და მორჩილების გამოცხადება, მაგრამ აოხრებულ და დაღუპულ ქვეყანას ეს ხომ ზარალს ვერ აუნაზღაურებდა.

ყველა უკმაყოფილო იყო გიორგი მეფით, ამიტომ ის 1089 წელს გადააყენეს და მის მაგივრად მეფედ გამოაცხადეს მისი 18 წლის შვილი დავითი. 18 წლის ყმაწვილს მაშინ უკვე დამთავრებული ჰქონდა თავისი სამხედრო აღზრდა და წვრთნა და ამიტომ სრულწლოვან ადამიანად თვლიდნენ.

დავითი იყო გოლიათური ტანის ადამიანი. როდესაც დავაჟკაცდა, მისი სიმაღლე $2\frac{1}{2}$ მეტრს უდრიდა. ამასთანავე მის იყო მეტად ღონიერი, რასაც მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ხელჩართულ ბრძოლაში ყოველთვის უფრო ღონიერი იმარჯვებდა. ამავე დროს დავითი იყო დიდი ენერჯის ადამიანი, მეტად ჭკვიანი და დიდი უნარის მქონე. მან თანდათან დაამშვიდა თავისი ქვეყანა, რომელიც დაჭრილი ლომივით გმინავდა თავის საშინელ ჭრილობათაგან, მან შემოიერთა კახეთი, რომელიც მანამდის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იყო, მოაწყო ჯარი, გაწვრთნა ის კარგად და შემდეგ გადავიდა შეტევაზე თურქების წინააღმდეგ. თურქები განსაკუთრებით ფეხმოკიდებული იყვნენ თბილისში და მის მხარეში, უფრო სამხრეთით. დავითმა დაიწყო თურქებზე ხშირი თავდასხმა. ორი-სამი ათასი კაცით ის ხან ერთს ადგილას გაჩნდებოდა თურქებისათვის სრულებით მოულოდნელად,

ხან მეორე ადგილას. მალე მან წაართვა თურქებს მთელი რიგი ციხეები და ადგილები, რომლებიც მათ ეჭირათ საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ თბილისიდან და მისი მხარიდან თურქების განდევნას მაინც ვერ ასერხებდა. საჭირო იყო ჯარის გამრავლება.

დავითმა დაქვრივების შემდეგ ცოლად შეირთო ყივჩაღების ხელმწიფის ქალი, სახელად გურანდუხტი. ყივჩაღები იყვნენ თურქული მოდემის ხალხი, რომლის ერთი ნაწილი ამ დროს ჩრდილოეთ კავკასიისაკენ გადმოერეკათ



დავით აღმაშენებელი.



დავით აღმაშენებლის მოულოდნელი თავდასხმა თურქების მრავალრიცხოვან ლაშქარზე.

თავისიანებსე. ისინი იყვნენ მესაქონლეობის მიმდევარი, მომთაბარე, საუკეთესო ცხენოსნები და ჩინებული მეომრები. დავითმა წინა-

დადებით მიმართა თავის სიმამრსა და ცოლისძმას—გადმოსულიყვნენ საქართველოში თავისი ყვიჩალებითურთ. ისინიც დათანხმდნენ და

მართლაც მალე გადმოვიდნენ კიდევაც 40 ათასი კაცით (ქალებისა და ბავშვების გარდა). ამით დავითს თვალსაჩინოდ მოემატა სამხედრო ძალა.

ამის შემდეგ დავითი უფრო ენერგიულად შეუდგა თურქებთან ბრძოლას. თურქებმა დინახეს, რომ მათი საქმე ცუდად მიდიოდა, და ამიტომ სთხოვეს თავიანთ სულთანსა და რჯულის მეთაურს, ეგრეთწოდებულს ხალიფას (რომელიც გამუდმებით შუამდინარეთში, ქალაქ ბალდადს ბინადრობდა), რომ მათ დაესაჯათ ქართველები. სულთანმა და ხალიფამ მართლაც დიდძალი ჯარი გამოგზავნეს. ერთი მაშინდელი ისტორიკოსი ქალაქ ედესაში (სირიაში) წერდა, თითქოს ამ ჯარის რაოდენობა უდრიდა 400 ათას კაცს, ხოლო ევროპელი რაინდი პალესტინიდან ატყობინებდა თავისიანებს დასავლეთ ევროპაში, ქართველების წინააღმდეგ თურქებმა 600 ათასი კაცი გაგზავნესო. შეიძლება ეს რიცხვები გადამეტებული იყოს, მაგრამ ცხადია, რომ თურქებს მართლაც დიდი ჯარი გამოუგზავნიათ საქართველოზე.

დავითმა თურქების ამ ჯარს 61,200 კაცი (მეტე მას არ ჰყავდა) შეახვედრა, ამათგან 15 ათასი ყივჩაღი მეომარი იყო და 200 ევროპელი რაინდი. ბრძოლა მოხდა მთებში დიდგორთან, თბილისის ჩრდილოეთ-დასავლეთით. დავითმა შუაში დააყენა თავისი მძიმედ შეიარაღებული რაინდები 200 ევროპელ რაინდთან ერთად. თურქებმა იერიში მიიტანეს ამ რაინდებზე, მაგრამ ისინი ყველანი კარგად შეჯავშნული იყვნენ და მაგრად დადგნენ თავის ადგილას. მაშინ დავითმა მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსანი ჯარით დაჰკრა თურქების შემომტევე ძალას გვერდებთან და გაარღვია მათი რიგები. თურქები გაიქცნენ. ამან არევიდარევა შეიტანა თურქების სხვა ნაწილებშიც, ქართველებმა მათ თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს, მაშინვე თავს დაეცნენ და არივ-დარიეს ისინი. თურქები ყველანი

გაიქცნენ. ქართველები გამოუდგნენ და სდიეს მათ სამი დღის სავალზე.


ასე ბრწყინვალედ გაიმარჯვა დავითმა თურქებზე დიდგორთან. ეს მოხდა 1121 წელს. ამ გამარჯვებით დავითმა იხსნა საქართველო თურქების საშიშროებიდან. თბილისის ბედიც ამის შემდეგ გადაწყდა.

თბილისი დიდ ციხეს წარმოადგენდა და ამიტომ მისი აღება ძნელი საქმე იყო. დავითმა ალყა შემოარტყა თბილისს. თურქი მეციხოვნენი კარგახანს იცავდნენ თავს, მაგრამ ბოლოს დავითმა, 1122 წელს, თბილისიც აიღო და ის კვლავ საქართველოს სატახტო ქალაქად გამოაცხადა.

ამის შემდეგ დავითი იმორჩილებს შირვანის სამეფოსაც, რომელიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მდებარეობდა, და აღწევს ქალაქ დარუბანდსაც. დარუბანდის ციხეს მან მოხსნა რკინის კარები და წამოიღო საქართველოში. ეს კარები მან მოიხმარა გელათის მონასტრის გალავანში შესავლის გასაკეთებლად (შემდეგ ეს კარები დაძველდა და გადახსნილ იქნა).

დავითი ზრუნავდა თავისი ქვეყნის კეთილდღეობაზე, გაჰყავდა ქვაფენილი გზები, აშენებდა ხიდებს, ზრუნავდა დაგრდომილთა და სწიულეებზე, უშენებდა მათ თავშესაფარ სახლებს, სადაც მათ ყველაფერი ეძლეოდათ სახელმწიფო ხარჯზე. დავითი დიდად ზრუნავდა აგრეთვე განათლების საქმეზე, აგზავნიდა ნიჭიერ ახალგაზრდებს სწავლის დასამთავრებლად კონსტანტინეპოლსა და საერთოდ მაშინდელი ბიზანტიის (ბერძენების) სახელმწიფოებში.

დავითი გარდაიცვალა 1125 წელს, 53 წლისა. დამარხულია გელათის მონასტრის სამხრეთიდან შესავალ კარში. მის საფლავს ძველი ქართული ასოებით აწერია: „ესე არს განსასვენებელი ჩემი, ესე შთანავს (მსურს) მე“.





პირველდაწყებითი განათლება ეგნატე ნინოზვიდმა ოჯახში მიიღო. 7-8 წლის ეგნატე მამიდას, ნინოს, მაშინდელი ჩვეულებისამებრ, წაუყვანია მახლობელ მდინარეზე, ჩაუყენებია შიგ და ისე დაუწყებინებია ანბანის კითხვა, რომ შემდგომ „წყალოვით კითხვა“ ესწავლა.

ანბანის გაცნობის შემდეგ ეგნატე მახლობელ სოფლის სკოლაში მიიბარეს. აქ მან 4 წელი დაჰყო და მეორე სკოლაში გადავიდა. ბიძამ, ალექსიმ, თავისი ძმისწული ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანა, მე-3 განყოფილებაში, მაგრამ როგორც დიდად ნაკითხი და თვითგანვითარებული ახალგაზრდა, იმავე წელს შემდეგ კლასში გადაიყვანეს.

მალე ეგნატე ყურადღების ცენტრში მოექცა. მას იახლოვებენ, მასთან დამოკიდებულება აქვთ როგორც უფროსი კლასის მოსწავლეებს, ისე სკოლის მოწინავე მასწავლებლებსაც — ივანე ლიაძესა და ანდრია ბენაშვილს.

ერთ დღეს მასწავლებელი ლიაძე უკანონოდ მოხსნეს თანამდებობი-



დან. მისი მოხსნის ცნობა ქარიშხალივით მოედო მთელ სასწავლებელს, მოწაფეობა გულისწყრომამ და მღელვარებამ მოიცვა...


ამხანაგებთან ერთად ეგნატემ გადაწყვიტა მასწავლებელ ლიაძის მოხსნის უკანონო აქტს მოსწავლეთა საერთო გაფიცვით უპასუხოს. მეორე დღეს მოსწავლეები არ გამოცხადდნენ სასწავლებელში, შეიკრიბნენ ქალაქის ერთერთ გარეუბანში მდინარე ყუყის პირას, სასწავლებლის ადმინისტრაციის წინაშე ლიაძის სამსახურში დაბრუნების მოსათხოვნად.

სასწავლებლის ხელმძღვანელებმა ადვილად მიაგნეს მოსწავლეთა შეკრების ადგილსამყოფელს და მალე გამოძიებაც დანიშნეს. გამოძიებამ მოსწავლეთა მთელი ამ არეულობის მოთავედ ეგნატე მიიჩნია. რამდენიმე ამხანაგთან ერთად ის გამოორიცხეს „მგლური მოწმობით“.

ეგნატემ სცადა იმავე ქალაქში მოწყობილიყო მეორე სკოლაში, მაგრამ ვერ მოახერხა.

ეგნატე არც ამ პირობებში კარგავს სულიერწონასწორობას, მზნიდ შეუდგება თვითმეცადინეობას, სადღე სხვა სკოლაში გამოცდებზე დაშვების იმედით.

ვინაიდან ყოფაქცევაში ცუდნიშნისანი ეგნატე არსად გაიკარეს, მან გადაწყვიტა სახალხო მასწავლებლობაზე საექსტერნო გამოცდებისათვის მომზადებულიყო. ახლა იგი იძულებულია სრულიად დამალოს თავისი ყოფაქცევაში ცუდნიშნისანი მოწმობა, ხაზი გადაუსვას თავისი მოწაფეობის წლებს და წარსდგეს გამოსაცდელად რომელიმე სასწავლებელში, როგორც ახალგაზრდა, რომელიც არასოდეს სკოლაში არ ყოფილა და თვითგანვითარებით მომზადებულა; საამისო ცნობით ხელში (ეს ცნობა ბიძამისმა აიღო თემიდან) 20 წლის ჭაბუკი ეგნატე წარსდგა ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორის, ვინმე მარსოვის წინაშე. ჩააბარა გამოცდები და იმავე წელს დაინიშნა მშობლიურ თემში (ჩოჩხათში) სოფლის სკოლის მასწავლებლად.



ეგნატეს ბიძის, ალექსის — ოდა, ს. ჩირკვეთში. სადაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა ეგნატე ნინოზვიდი.

კ. ლონაძე.



საუბარი




მაუხანაზე

ექვს საუკუნეზე მეტია, რაც კვამლიანი დენთი გამოიგონეს. მისი გამოგონება ჩინელებს ეკუთვნის. ჩინელებიდან დენთის გაკეთება ინდოელებმა ისწავლეს, ხოლო მათგან — არაბებმა. ევროპაში კი დენთი არაბების შემდეგ გამოიყენეს.

დენთის გამოგონებამ უდიდესი გადატრიალება მოახდინა სამხედრო მექანიკაში. ახალ, ფეთქებად ნივთიერებასთან დაკავშირებით პირველად დაიწყო ხის თოფებისა და ზარბაზნების კეთება, შემდეგ კი ლითონისაზე გადავიდნენ. პირვანდელი ქვემეხიდან გასროლილი ქვა რაღაც ასიოდე მეტრზე ვარდებოდა, ახლა კი არსებობს 150 დიუმიანი ქვემეხებიც, რომელთა ყუმბარა 150 კილომეტრზეც ხვდება ნიშანში.

იყო დრო როცა, ქვებითა და შვილდ-ისრით იბრძოდნენ. მაგრამ მაშინაც იყვნენ საუკეთესო სნაიპერები. სროლის ერთერთი ასეთი



ძველისძველი თოფი, რომელიც ცეცხლით ვარდებოდა.

გამოჩენილი ოსტატი იყო ვილჰელმ ტელი. მას შემდეგი ამბავი შეემთხვა:

600 წლის წინათ შვეიცარია ავსტრიას ემორჩილებოდა. მეფისნაცვალმა ჰესლერმა თავისი ქუდი ჩამოკიდა ქალაქ ალდორფის შუა ბაზარში და ბრძანა:

ვინც გაივლიდა, თავი დაეხარა მის წინაშე. ერთხელ მოედანზე ჩაიარა ვილჰელმ ტელმა თავისი რვა წლის ბიჭუნა ვალტერის

თანხლებით. მან აინუნშიაც არ ჩაავლო მეფისნაცვლის ქუდი, ვითომც აქ არაფერიყო, და გზა განაგრძო. გუშაგებმა ეს დაინახეს და ვილჰელმი შეიპყრეს. მეფისნაცვალმა ურჩის დასჯა მოიწადინა. მან ვილჰელმს უბრძანა ორმოც ნაბიჯზე დაეყენებინა საკუთარი ბიჭუნა, მისთვის თავზე დაედო ვაშლი და ერთი ისრის გასროლით გაეკვეთა ვაშლი. მეფისნაცვალი ასე ფიქრობდა: ისარი ვაშლს აცდება და პატარა ვალტერს მოხვდება, ამით კი მამა დაიტანჯებაო.

ვილჰელმ ტელმა აიღო ორი ისარი, ერთი მათგანი ვალტერის თავზე დადებულ ვაშლს დაუმიზნა. ისარმა ვაშლი შუაზე გააპო. ამან მეფისნაცვლის უდიდესი გაოცება გამოიწვია.

ჰესლერმა ჰკითხა:


კი, მაგრამ მეორე ისარი მაინც რად მოიტანეო? თუ პირველი ისარი ვაშლს ასცდებოდა და ვალტერს მომიკლავდა, მაშინ მეორე ისრით შენ გაგბობდი გულსო, — მიუგო ამაყად ვილჰელმ ტელმა.



მეფისნაცვალს მოეწონა ვილჰელმის თავგანწირვა და იშვიათი ხელოვნება შვილდისრობაში, მაგრამ დანაშაული მაინც არ აპა-

აი ასეთი „საშიში“ თოფებიც ჰქონდათ უწინ მეომრებს.

ტია და საპყრობილეში ჩასვა. ასეთი სნაიპერები უთვალავი რაოდენობით ჰყავს ჩვენს სახელოვან წითელ არმიას.



შვეიცარიელი შვილდოსანი ეილჰელმ ტელი ისარს უმიზნებს შვილის თავზე დადებულ ვაშლს.



ისინი ძველებურ შვილდ-ისარს კი არ იმარჯვებენ, როგორც შორეული წინაპრები, არამედ შაშხანას, ტყვიამფრქვევს, ქვემებს, ყველა უხანლეს იარაღს, რომლითაც აღჭურვილია მშობლიური წითელი არმია.


მრავალი საომარი იარაღი არსებობს ქვეყნად, ბევრი მათგანი არამც თუ ყოველწლიურად, არამედ თვითურადაც განიცდის სახეცვლილებას. ასეთია, მაგალითად, თვითმფრინავი: მის კონსტრუქციას ყოველდღიურად აუმჯობესებენ მეტი სისწრაფის, ჰერის, შორსმანძილზე ფრენისა და ტვირთზიდვის მისაღწევად. დანარჩენ იარაღებთან შედარებით უფრო სრულყოფილი აღმოჩნდა 1891 წლის ნიმუშების რუსული სამხაზიანი შაშხანა, რომლის გამოგონების 50 წლის თავი ახლა აღნიშნა საბჭოთა საზოგადოებამ. ამ საუცხოო შაშხანამ მხოლოდ 1930 წელს განიცადა მცირეოდენი ცვლილება.

ახალი სამხაზიანი შაშხანის გამოგონებამდე მეფის რუსეთის არმიას მეტად ცუდი თოფი ჰქონდა. ყირიმის ომმა დაამტკიცა ამ არმიის უვარგისი შეიარაღება. მეფის მთავრობა იძულებული გახდა ხელახლა მოეხდინა თავისი არმიის აღჭურვა ახალი ნიმუშის შაშხანებით. პირველად ახალი შაშხანა 1866 წელს გამოიყენეს. ერთი წლის შემდეგ იგი კვლავ შეცვალეს, მაგრამ ეს მაინც არ აღმოჩნდა სა-

ბოლოო. შაშხანამ კვლავ განიცადა სახეცვლილება 1869-1870 წლებში.

რუსეთის ბევრი ნიჭიერი გამოგონებელი დაუღალავად მუშაობდა ახალი ნიმუშის შაშხანის შექმნაზე. ერთერთი ასეთი იყო ს. ი. მოსინი. მას, ისევე როგორც ყველა იმდროინდელ მოწინავე ადამიანს, არავითარ დახმარებას არ უწევდა მეფის მთავრობა. მოსინს მაინც არ გასტეხია გული, ის დღედაღამ ფიქრობდა თავისი საყვარელი თოფის გაუმჯობესებაზე. თავდადებულმა შრომამ ფრიად სასურველი ნაყოფი გამოიღო. მოსინმა გააკეთა სავაზნე კოლოფიანი შაშხანა. სხვებთან შედარებით მისი წყობა უფრო მარტივი და ადვილი ასათვისებელი იყო. მთავრობის კომისიამ 14 ხმის უმრავლესობით 10-ის წინააღმდეგ მოიწონა ეს შაშხანა 1891 წლის 28 (16) აპრილს კი იგი საბოლოოდ მიღებულ იქნა. ამ ნიმუშის შაშხანით დაიწყო რუსეთის არმიის შეიარაღება.

საგულისხმოა ერთი ამბავი მოსინის ცხოვრებაში. შაშხანისათვის უნდა დაერქმიათ გამოგონებლის სახელი, მოსინმა კი მოისურვა ეწოდებინათ „რუსული სამხაზიანი“. იპვერატორმა ალექსანდრე მესამემ სიტყვა „რუსული“ წაშალა და დატოვა „სამხაზიანი“. გარდა ამისა, უცხოელ გამოგონებელ ნავანს, რომლის იარაღიდან ზოგიერთი ნაწილი იქნა გადმოღებული, 200 ათასი მანეთი მისცეს, მოსინს კი, რომელმაც სრულიად ახალი ნიმუშის შაშხანა შექმნა, 30 ათასი მანეთი მისცეს ჯილდოდ მეტად ხანგრძლივ შრომაში. მოსინს შეეძლო საზღვარგარეთ გაეყიდა თავისი გამოგონების საავტორო უფლება. ცნობილი იარაღ-



ერთერთი პირველი კოლოფიანი შაშხანა. კოლოფი, რომელშიაც 12 ცალი ვაზნა ეტევა.

მწარმოებლის რიქტეს ფირმამ გამოჩენილ რუს კონსტრუქტორს 600 ათასი ფრანკიც შეიძლება თავის გამოგონებაში, მაგრამ მშობელი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტმა მოსინმა უარყო აღნიშნული ფირმის წინადადება. მას უნდოდა მთელი თავისი ნიჭი მშობელი ქვეყნის სასარგებლო საქმისათვის მოეხმარა და ასედაც მოიქცა. მოსინმა რუსეთის არმიის შეიარაღებისათვის გამოიყენა თავისი შესანიშნავი გამოგონება. მიუხედავად ამისა, ის მაინც ვერ დაათვასა მეფის უგუნურმა მთავრობამ. მას დიდად აფასებენ პარტია და საბჭოთა მთავრობა, მოსინის სახელი ემბლემად გაიხადეს ჩვენი ქვეყნის სახელოვანმა კონსტრუქტორებმა. მოსინის მავალითი აღფრთოვანებთ მათ, რომ დაუღალავად იმუშაონ ჩვენი ძლიერამოსილი წითელი არმიის შეიარაღებაზე.

მძინვარებს მეორე იმპერიალისტური ომის ხანძარი, ამ საშინელ ომში ერთხანევარ მილიარდზე მეტი მოსახლეობაა ჩაბმული. ნადგურდება ქალაქები, სოფლები, ინდუსტრიული და კულტურული ცენტრები, ისპობა სახელმწიფოები. გამოყენებულია შეიარაღების ყველა უკანასკნელი მიღწევა. იმპერიალისტები ერთმანეთს ებრძვიან მსოფლიოს გადასანაწილებლად. ისინი არ ზოგავენ მილიონობით ადამიანთა სიცოცხლეს. ომის მრისხანება იგრძნობა როგორც ფრონტზე, ისე ზურგშიც. მეომარ მხარეთა თვითმფრინავები ათიათასობით ყუმბარებს აყრიან სამრეწველო ქალაქებს, ნავსადგურებს, გემებს. მარტო ერთ ღამეს გერმანიის ავიაციამ ერთი მილიონი კილოგრამი ყუმბარა დააყარა ლონდონს. ასევე შეუპოვრად ესხმის თავს ინგლისის ავიაცია გერმანიისა და იტალიის ქალაქებს. დიდად ადამიანთა მსხვერპლი, აურაცხელია მატერიალური ზარალი.

ამ საშინელ ომში ყველაზე მეტად ნადგურდებიან მშრომელთა ფენები. უცხოეთის მუშათა კლასი უდიდეს გაჭირვებაშია, ვინც უმუშევრობას გადაურჩა, ის ან ბრძოლის ველზეა, ან ნახევრად მშვიერ-მწყურვალი იპყოფება. ყუმბარების მიერ დანგრეულ სახლებში ათევენ ღამეს უმუშევართა ოჯახები. ყუმბარასფარებში ყრიან ფეხშიშველა, ულუკმაპურო ბავშვები.


დიდი სტალინის ბრძნული საგარეო პოლიტიკის მეოხებით ჩვენი ბედნიერი ხალხები მშვიდობით არიან, საამურ ცხოვრებას ეწევიან. ჩვენ არ ვართ ომში ჩაბმული, მაგრამ თუ ჩვენს სამშობლოს გარედან საფრთხე დაემუქრება, მშრალად გვექნება თოფის წამალი. მზად არის სახელოვანი წითელი არმია მტრის შესამუსრავად. იგი ფართოდ ეუფლება ახლანდელი ომის მდიდარ გამოცდილებას, სწავლობს ბრძოლის ახალ, მრავალფეროვან ხერხებს, რომ საჭირო შემთხვევაში, დიდი სტალინის პირველ მოწოდებისთანავე, რისხვად მოევილინოს ჩვენი ქვეყნის მტრებს.

ჩვენი მშობლიური წითელი არმია და წითელი სამხედრო-სახლო ფლოტი აღჭურვილია უახლესი სამხედრო ტექნიკით. მას ყველაფერი აქვს, ჩვეულებრივი შაშხანიდან დაწყებული ახალი კონსტრუქციის უსწრაფეს თვითფრინავამდე.

მოსინის სამხაზიანი შაშხანა საიმედო იარაღს წარმოადგენს საბჭოთა მეომრების ხელში. ამ იარაღით მიდიოდნენ ჩვენი მამაცი მებრძოლები ხასანის ტბასთან, ხალხინ-გოლთან, „მანერჰაიმის ხაზთან“. ამ იარაღით ასახლეს მათ ჩვენი დედა-სამშობლო, და როდესაც დაკრავს ბრძოლის საათი, ისევ საგმიროდ ამეტყველდება 50 წლის ნაცადი იუბილარი, რუსული სამხაზიანი შაშხანა.



1891—1930 წლის ნიშნის-შაშხანით დგას წითელ არმიელი.



სნაიპერული შაშხანა. საეკტის ზემოთ დადგმულია ხედვის მილი. მისი მეშვეობით უფრო უკეთ შეიძლება, დანახვა ვინემ უბრალო თვალით.



ლეონარდო და ვინჩი

იტალიაში, ქალაქ ვინჩის მახლობლად, მთის კალთაზე გაშენებულია პატარა ლამაზი დაბა, რომელსაც ანკიანოს ეძახიან.

ამ დაბაში 1452 წელს დაიბადა ლეონარდო და ვინჩი.

მას ბავშვობიდანვე გამოაჩნდა ხატვის ნიჭი, ამიტომ მშობლებმა თორმეტი წლის ლეონარდო მიაბარეს მაშინდელი გამოჩენილი მხატვრისა და მოქანდაკის ვეროკიოს სახელოსნოში.

პირველი თავისი შემოქმედებითი უნარიანობა ახალგაზრდა ლეონარდომ ვეროკიოსთან გამოიჩინა. მთელი წელიწადი ხატავდა ვეროკიოვრთ შეკვეთილ სურათს, მაგრამ ვერ დაამთავრა. ერთ დღეს ახალგაზრდა ლეონარდოს ჩუმად აეღო ფუნჯები და, მასწავლებლის შინ არ ყოფნის დროს, დიდი ტილო რამდენიმე საათში დაემთავრებინა. ამ ამბავმა ყველა გააკვირვა. ლეონარდოს ძალიან უყვარდა ბავშვები. ეს სიყვარული მან შემდეგ, თავის ტილოებზე გადაიტანა.

გაღებულ სარკმელთან ხის ახალგაზრდა დედა, ჯერ კიდევ ბავშვურ მის სახეს კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებს, ცალი ხელით ფუნჩულა ტიტველი ყრმა უჭირავს და მეორით მიხაკი, რომელსაც განცვიფრებული ბავშვი დასცქერის. . .

თმახუჭუჭა ცელქს გაუხსნია გულსპირი მშობლისათვის, ძუძუს წოვს და მაცურებელს ცელქი დიმილით უცინის.

ლეონარდოს ასეთი სურათების წერის გარდა ძალიან უყვარდა კარიკატურებ-შარჟების ხატვა, აგრეთვე ფანტასტიკური სურათების წერა. ასეთ ორიგინალურ კომპოზიციებს შორის აღსანიშნავია ხის დისკოზე დაწერილი სურათი, რომელზედაც ლეონარდოს გამოუსახავს საშინელი გველეშაპი, რქებით, კლანჭებით და გაშლილი ფრთებით. გველეშაპს გაღებულნი აქვს ხახა და აფრქვევს ცეცხლსა და კვამლს.

საზოგადოდ ფანტაზია, ორიგინალობა და გონებამახვილობა ბავშვობიდანვე ახასიათებდა დიდ მხატვარს. ის ხშირად რაიმე გამოგონებებით ირთობდა თავს, დასცინოდა კიდევ „ჭკუათხელ კაცთ“.

როდესაც ლეონარდო მუშაობდა ან ისვენებდა, უდროოდ შემოსული ცნობისმოყვარე სტუმრები რომ როგორმე ჩქარა მოეშორებინა, ის მიმართავდა ასეთ ხერხს: მისაღებ ოთახში, ფარდებს უკან, ცდები-სათვის გაკიმული ჰქონდა რაიმე ცხოველის ნაწლავი, რომლის ერთი თავი დაკავშირებული იყო საბერველთან; მექანიკურად მიმაგრებული ბერკეტი სასურველ მომენტში კეცავდა და შლიდა საბერველს, საბერველი გაატარებდა ჰაერს ნაწლავში და ოთახში ისეთ მახრჩობელა ჰაერს დააყენებდა, რომ სტუ-



ლეონარდო და ვინჩის ნახატი — პარიზი. ლუვრი.



მარი საჩქაროდ ეთხოვებოდა მას-პინძელს და გარეთ გარბოდა; ან დაიკერდა ხელიკს, რომელსაც თავზე რქებად მამლის დეხებს უკეთებდა, გვერდებზე ფრთებად კი ღამურას ნამდვილ ფრთებს, — ასეთი ხელიკი ხშირად შიშის ხარს სცემდა მნახველებს.


ლეონარდოს მეცნიერულ ნაშრომებს რომ ვეცნობით, გვაკვირვებს მისი უნივერსალობა: ის იყო მხატვარი, მოქანდაკე, მათემატიკოსი. . . მან პირველმა მოგვცა ზუსტი ანატომიური ნახაზები ჩონჩხისა და კუნთებისა, დაასისტემა და დააჯგუფა მათი ცალკეული დეტალები, მოგვცა მხედველობის პროცესის განმარტება, ამა თუ იმ ორგანოების გამოურკვეველ ფუნქციათა რაობა. მან დაგვისაზა ქოლგით მფრინავი ადამიანი, ეს ქოლგა დღევანდელი პარაშუტის პროტოტიპად ითვლება. მანვე დაახლოებით გამოამყდავანა „მასჩობელა“ გაზისებური სითხის დამზადების საიდუმლოება, მხატვრობაში კი მოგვცა ფერწერის მრავალი ლაქი.

1519 წლის 2 მაისს გარდაიცვალა ეს ბუმბერაზი ადამიანი.

გ. გაბუნია.



ლეონარდო და ვინჩი.



რ. რ.

ხალხი ცოტა იყო ქუჩებში—მუშები და მუშა-ქალები, რომელთაც ღილისკილოში ჩაბნეული ჰქონდათ წითელი ყვავილები... პოლიციის აგენტები დამალულიყვნენ მეტროს მახლობლად: ლუქსემბურგის ბაღის კარი დაკეტილი იყო.

ამისდა მიუხედავად, ოლივიე და კრისტოფი წინ მიიწევდნენ, ბრბო თანდადან იზრდებოდა; ისმოდა ყვირილი, ძახილი, მაგრამ ჯარისკაცებსა და პოლიციელებს რომ ხედავდნენ, ბრბო ნერვიულობდა. მუშების მესამე და მეოთხე რიგმა ქვების სროლა დაუწყა მათ.

სახლის ფანჯრებიდან იყურებოდნენ. ოლივიემ ერთ ნაბიჯზე შენიშნა გაზეთის კიოსკის სახურავზე თავისი პატარა კუზიანი ამხანაგი, ის ღიმილით უყურებდა ბრბოს. დაუძახა ბავშვს ძირს ჩამოდიო, მაგრამ მან ვითომც ვერ გაიგონა, დაიწყო სხვაგან ყურება, აღარ უყურებდა ოლივიეს. ამ დროს ჯარისკაცები წინ მიიწევდნენ, რომ მოედანი გაეთავისუფლებინათ. ბრბომ იწყა გაფანტვა. ოლივიე ეძებდა თავის ამხანაგს და სწორედ იმ დროს შენიშნა, როცა ის გადმოგორდა თავისი თვალსაღვენი პუნქტიდან, ჩაგორდა მიწაზე და არიდარია ბრბო. პოლიციის აგენტები გაეშურნენ, ოლივიეც გაიქცა მეგობრის გადასარჩენად.

ნად. მან მოჰკიდა ხელი ბავშვს, რომ აეყენებინა. მაგრამ პოლიციის აგენტები ისე მხეცურად მოდიოდნენ, რომ ორივე წააქციეს. კრისტოფი დაიჭირა ორმა პოლიციის აგენტმა. კრისტოფმა მათ დაუწყა მუშტების ცემა. ბავშვმა ერთი მათგანი გააგორა ტროტუარზე, მაგრამ ამ დროს მეორემ მოიმარჯვა ხმალი. კრისტოფს არ ჰქონდა მოდიქრების დრო, მან სწრაფი მოძრაობით შეუტრიალა მკერდისაკენ პოლიციელს ხმალი და შიგ გულში ჩასცა. უცებ ყველაფერი შეიცვალა, პოლიციელმა დაიყრდნობა.

წარმოუდგენელი ამბავი დატრიალდა. სახლის ფანჯრებიდან გამოჩნდა წითელი დროშები, აღიმართა ბარიკადი. ქუჩაში გამოჩნდა აყრილი ქვაფენილი, წაქცეული ხეები, გადმოყირავებული ომნიბუსი. ჯიბეებიდან იღებდნენ იარაღს, მოჰქონდათ სახლებიდანაც.

წუთზე უმაღლესი იფეთქა აჯანყებამ და მთელი უბანი სააღმოსავლეთი მდგომარეობაში ჩავარდა. კრისტოფი მძლავრი და მალალი ხმით მღეროდა ბარიკადებზე რევოლუციურ სიმღერას, რომელსაც ბანს აძლევდა მრავალი ათასი ხმა.

თარგმნა ფრანგულიდან ნუშვარ ცმრცვაქმმ
(თბილისის მე-15 სკოლის მე-4 კლასი).





პიონერი

საპ. ალკა ცენტრალური კომიტეტისა და
საპ. განსახორციელების ერთობისა, შუკნალი

№ 5

მაისი 1941 წ.

„ПИОНЕРИ“

Журнал Центр. Комитета ЛКСМ Гр. и Наркомпроса Грузии (на грузинском языке).

Издательство „Комунисти“. Адрес редакции: Тбилиси, Грибоедова, 34. Тел. 3—02—61.

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ., № 34. ტელ. 3-02-61.

შ ი ნ ა ა რ ს ი


	გვ-		გვ-
1. გალაკტიონ ტაბიძე—პირველი მაისი (ლექსი)	1	13. პროფესორ სარგის კაპაბაძე—დავით აღმაშენებელი (ისტორიული ნარკვევი)	22
2. დავით ლუკაშვილი—1901 წელი (მოგონება)	2	14. კ. დონაძე—ეგნატე ნინოშვილის მოწაფეობის წლები	26
3. მარიკა მიქელაძე—სამაისო (ლექსი)	4	15. საუბარი შაშხანაზე—(ნარკვევი თავდაცვით	27
4. კალე ბობოხიძე—სახეიმო გაზეთი (ლექსი)	4	16. გ. გაბუნია—ლეონარდო და ვინჩი (წერილი)	30
5. თბილისის პიონერთა სასახლე (წერილი)	5	17. რ. რ.—პირველი მაისი პარიზში (თარგმნი ფრანგულიდან ნ. ცერცვაძემ)	31
6. სიმონ წვერავა—შინდის ჯოხი (მოთხრობა)	6	18. ღირსშესანიშნავ თარიღთა კალენდარი	გვ.
7. არნო ონელი—გორი (ლექსი)	9	19. შეისწავლეთ სამხედრო საქმე (ტოპოგრაფია)	გვ.
8. ალ. კოკაია—შეხვედრა (მოთხრობა)	10	20. იმუთ დაჭურვის ტიპის ტანვარჯიშობები	გვ.
9. დიმიტრი კასრაძე—საბჭოთა საზღვრებს იქით	12		
10. როგორ იყო (საპირველმანისო დემონსტრაციები მსოფლიოში)	13		
11. სიო (ჩინური ხალხური ზღაპარი გადმოაკეთა ვ. ა. შურუღმა)	18		
12. ვიანესლაე რუდოლფის ძე მენჟინსკი (ბიოგრაფიული წერილი)	21		

ჟურნალი გაფორმებულია მხატვ. ივ. ჯაფოშვილის, გ. გორდელაძისა და გ. ისაევს მიერ; გარეკანზე—სამაისო დემონსტრაცია ნახ. მხატ. გ. გორდელაძისა.

















































განსახორციელებელი რედაქტორი—ა. რ. დულარიძე


ტირაჟი 10000 ხელმოწ. დასაბ. 5/VI 41 წ.
უე 20180 ანაწყ. ზომა 8¹/₄×12=75.200
სასტამბო ფორმ. რაოდ. 2.
საავტორო ფორმა 4.
გამომც. № 34.
სტ. შეკვეთა 601.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ., № 28.



შეისწავლეთ სამხედრო საქმე!

							
მინდორი ტყე		მინდორი ტყე		მდინარე		ხიდი	
							
მინდორი ტყე		მინდორი ტყე		ხედი		საბურთა	
							
მდინარე		მინდორი ტყე		მინდორი ტყე		ხედი	
							
მინდორი ტყე		მინდორი ტყე		მინდორი ტყე		მინდორი ტყე	
							
მინდორი ტყე		მინდორი ტყე		მინდორი ტყე		მინდორი ტყე	
							
მინდორი ტყე		მინდორი ტყე		მინდორი ტყე		მინდორი ტყე	



ი ე ზ ტ

დაჭრვის ზივის განვარჯიშები

I. ვარჯიშობა.


საწყისი მდგომარეობა — ძირითადი დგომა.

1. მაქსიმალური უკუხნეკი, განმკლავი, მკლავების უკან უარამდე გადაწევა, წინნები.
2. დრეკადი წინნეკი, თითებით იატაკის შეხება.
3. ხელმეორედ დრეკადი წინნეკი, თითებით იატაკის შეხება.
4. დაბრუნება საწყის მდგომარეობაში. ვარჯიშობა მეორედება სამჯერ.



II. ვარჯიშობა.

1. მარცხენის განფერხილი დგომა. თითების გადახლართვით წინ რკალებით შემკლავი, — ნების ზევით შებრუნებით.
- 2, 3. მარცხნივ ორი დრეკადი ზნეკი.
4. განმკლავით მიმკლავი, მარცხენის მიწვევით მიქსლებული დგომა.
- 5, 6, 7, 8. იგივე ვარჯიშობა მეორე მხარეს. ვიმეორებთ ვარჯიშობას ორივე მხარეს.




III. ვარჯიშობა.

1. საწყისი მდგომარეობა — ძირითადი დგომა, გარე წინმკლავი, ნები ქვევით.
1. მარჯვენას მარცხნივ წინფერხ ზეაქნევი, ფეხის ცერი ტანის მოუხრულად შეეხება მარცხენა ხელს.
2. მარჯვენის მიფერხი.
- 3, 4. იგივე ვარჯიშობა მარჯვენა მხარეს.
- 5, 6, 7, 8. ვიმეორებთ ვარჯიშობას.



IV. ვარჯიშობა.

1. ვაკეთებთ განმკლავს.
2. მარჯვნივ ვარდნა დრეკადი წინნეკით მკერდის წინ ხელების თავისუფლად გადაჯვარედინებით.
3. დამატებით ხეჭი ზემართი, განმკლავი, მარჯვენის განფერხი დგომა.
4. მარჯვენის მიფერხი, მკერდის წინ ხელების თავისუფლად გადაჯვარედინება.
- 5, 6, 7, 8. იგივე ვარჯიშობები მეორე მხარეს. ვიმეორებთ ვარჯიშობებს ორივე მხარეს.



V. ვარჯიშობა.

- 1, 2. ნელინელ უკუფერხული დგომა, წინნეკი წელის გამართვით, განმკლავი ზებით ქვევით. წონასწორობა მარცხენაზე.
- ზურგი ჩაზნექილი გვაქვს („მერცხალი“).
- 3, 4. ყოვანა.
- 5, 6. ნელნელა ვბრუნდებით საწყის მდგომარეობაში.
- 7, 8. ყოვანა.
- იგივე ვარჯიშობები მარჯვენა ფეხზე. შემდეგ ვარჯიშობებს კიდევ ერთხელ ვიმეორებთ ჯერ ერთსა და მერე მეორე ფეხზე.

VI. ვარჯიშობა.

1. განმკლავი ზემკლავი.
2. ბუქნი, მუხლები ცალცალკეა (განზე), ქუსლები ერთად (თავი ზევით, ტანი გამართულია).
3. განმეორებითი დრეკადი ბუქნი.
4. ვიმართებით და ხელებს ვუშვებთ ძირს.
- 5, 6, 7, 8. ვიმეორებთ ვარჯიშობებს.

VII. ვარჯიშობა.

საწყისი მდგომარეობა—მოკრივის დგომა. ხელის მტევნები მომუჭულია. სწორება. მარჯვენა და მარცხენა ხელის შენაცვლებით წინ პირდაპირი დარტყმები (პაერში). თანდათან ვაჩქარებთ ტემპს. 16 დარტყმა.

VIII. ვარჯიშობა.

1. საწყისი მდგომარეობა—ძირითადი დგომა, განმკლავი.
1. შეხტომით შლიბიჯური დგომა, თავის ზემოთ ტაშის დაკრა.
2. შეხტომით ფეხების შეერთება, განმკლავი. 8 შეხტომი, შეხტომებს შემდეგ აუცილებელია სვლა.

